



საქართველოს
სახალხო დამცველი

პრევენციის ეროვნული მექანიზმი

N3 პენიტენციური დაწესებულების მონიტორინგის ანგარიში

(2016 წლის 23-25 მაისს და 2017 წლის 2-4 თებერვალს განხორციელებული
ვიზიტების შემდგომი ანგარიში)



www.ombudsman.ge

სარჩევი

1. ანგარიშის რეზიუმე	3
2. შესავალი	9
3. არასათანადო მოპყრობა	10
4. უსაფრთხოება.....	18
4. პატიმრობის პირობები	23
4.1. ფიზიკური გარემო, სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობა	23
4.2. დღის განრიგი და სარეაბილიტაციო აქტივობები	27
5. სამედიცინო მომსახურება	32
6. კვება და სასმელი წყალი	39
7. რეჟიმი, დისციპლინური პასუხისმგებლობა, წახალისება	41
8. კონტაქტი გარე სამყაროსთან	47

1. ანგარიშის რეზიუმე

წინამდებარე ანგარიში წარმოადგენს საქართველოს პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ 2016 წლის 23-25 მაისს და 2017 წლის 2-4 თებერვალს N3 პენიტენციურ დაწესებულებაში განხორციელებული ვიზიტების შემდგომ ანგარიშს.

N3 დაწესებულება პატიმრობისა და განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაა,¹ რომელიც განკუთვნილია 557 პატიმრის განთავსებისთვის. 2016 წლის 23-25 მაისს განხორციელებული ვიზიტის დროს დაწესებულებაში იმყოფებოდა 158, ხოლო 2017 წლის 2-4 თებერვალს განხორციელებული ვიზიტის დროს - 30 პატიმარი.

სპეციალური პრევენციული ჯგუფის დაკვირვებით, N3 პენიტენციურ დაწესებულებაში მაღალია პატიმართა მიმართ არასათანადო მოპყრობის საფრთხე. გამოკითხული პატიმრების უმეტესობის განმარტებით, თანამშრომლებსა და პატიმრებს შორის დამაბული და კონფლიქტური ურთიერთობა, რაც არასათანადო მოპყრობის რისკს ზრდის.

N3 დაწესებულებაში 2016 წლის 23-25 მაისს განხორციელებული ვიზიტის დროს სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებმა მიიღეს ინფორმაცია პატიმრის მიმართ დაწესებულების თანამშრომლების მიერ განხორციელებული არასათანადო მოპყრობის სავარაუდო ფაქტის შესახებ. 2017 წლის 2-4 თებერვლის ვიზიტის დროს პატიმრებისგან ჯგუფს ასეთი შეტყობინება არ მიუღია.

ვიზიტის დროს სპეციალურმა პრევენციულმა ჯგუფმა დაათვალიერა N3 დაწესებულების უსაფრთხო² ოთახები. ოთახებში დაცული არაა სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა, ლეიბი მოთავსებულია პირდაპირ იატაკზე. ოთახებში ცხელა, არ იღება ფანჯრები და შესაბამისად, არ ხდება ბუნებრივი ვენტილაცია. ღია საპირფარეშო ხვდება ოთახებში დამონტაჟებული სათვალთვალო კამერის ხედვის არეალში. უსაფრთხო ოთახებში პატიმრებს შეზღუდულად მიეწოდებათ პირადი ჰიგიენის დაცვისა და ჭურჭლის სარეცხი საშუალებები და შეზღუდული აქვთ წვდომა საკუთარ ტანსაცმელზე .

გარდა მძიმე საყოფაცხოვრებო პირობებისა, პატიმართა განმარტებით, უსაფრთხო ოთახებში მათ არ აძლევენ მაღაზიით, ტელეფონით, პირადი მიმოწერითა და პაემნით სარგებლობის უფლებას.

¹ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს N 106 ბრძანება, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციური დაწესებულებების შესახებ.

² ამჟამად დეესკალაციის ოთახები.

როგორც ვიზიტის შედეგად გაირკვა, პატიმრებს აქვთ განცდა, რომ უსაფრთხო ოთახებში მათი გადაყვანა ხდება დაწესებულების დებულების დარღვევის შემთხვევაში დასჯის და არა მათი უსაფრთხოების დაცვის მიზნით.

სპეციალური პრევენციული ჯგუფის ხელთ არსებული ინფორმაციით, უსაფრთხო ოთახში მოთავსებისას არ ხდება პატიმრის სომატური და ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინება და შესაბამისად, უსაფრთხო ოთახში მისი ხანგრძლივი იზოლირება შესაძლოა სუიციდის და თვითდაზიანების მაპროვოცირებელიც კი გახდეს. აღსანიშნავია, რომ N3 დაწესებულებაში ადგილი ჰქონდა უსაფრთხო ოთახში პატიმრის მიერ თვითდაზიანების მიყენების შემთხვევებს, რაც ეჭვქვეშ აყენებს ამ ზომის გამოყენების ეფექტურობას პატიმრის უსაფრთხოების მიზნებისთვის.

2015 წელთან შედარებით, 2016 წელს N3 დაწესებულებაში მყოფი პატიმრების საშუალო რაოდენობა დაახლოებით 1/3-ით შემცირდა, თუმცა 2016 წელს, ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, პატიმრების სხეულის დაზიანების შემთხვევების საერთო რაოდენობა დაახლოებით 10-ჯერ გაიზარდა. საყურადღებოა, რომ 2016 წელს დაფიქსირდა სხვა პირის მიერ დაზიანების მიყენების 9 შემთხვევა, მაშინ, როდესაც 2015 წელს მსგავსი შემთხვევა არ ყოფილა. ამავე დროს აღსანიშნავია, რომ 2016 წელს დაზიანებების საერთო რაოდენობის რიცხვი გაზრდილია თვითდაზიანებების შემთხვევების რაოდენობის გაზრდის გამო. რაც მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ დაწესებულებაში არ არის ჯანსაღი გარემო და აუცილებელია შესაბამისი ღონისძიებების გატარება არსებული ვითარების გამოსასწორებლად.

როგორც ვიზიტის დროს გაირკვა, დაწესებულებაში შესახლების დროს, სხეულის დათვალიერებისას პატიმრებს აშიშვლებენ და სთხოვენ ბუქნების გაკეთებას, რაც პატიმართა განმარტებით, მათთვის ღირსების შემლახავია. ოთახში, სადაც ხდება პატიმართა გაშიშვლება და სხეულის დათვალიერება, დამონტაჟებულია 1 სათვალთვალ კამერა.

საგულისხმოა, რომ N3 დაწესებულებაში, ისევე, როგორც სხვა დანარჩენ პენიტენციურ დაწესებულებებში, დაზიანებების დოკუმენტირება არ ხდებოდა „სტამბოლის პროტოკოლით“ დადგენილი სტანდარტების შესაბამისად. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ სამედიცინო პერსონალის მიერ დაწესებულებაში მიღებული დაზიანებების დოკუმენტირება ხარვეზებით მიმდინარეობდა. საქართველოს სახალხო დამცველი მიესალმება საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის მიერ პენიტენციურ დაწესებულებებში შესაძლო წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის შედეგად ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა დაზიანების აღრიცხვის წესის დამტკიცებას, რომელიც 2017 წლის 1 აპრილიდან ამოქმედდა.³ ამასთანავე, სახალხო დამცველი იმედს იტოვებს, რომ პატიმართა სხეულზე არსებული

³ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2016 წლის 26 ოქტომბრის N131 ბრძანება.

დაზიანებების აღრიცხვა პრაქტიკაში განხორციელდება ყველა იმ სტანდარტის შესაბამისად, რაც დადგენილია „სტამბოლის პროტოკოლით“.

სპეციალური პრევენციული ჯგუფი მიესალმება დეესკალაციის ოთახში პატიმრის მოთავსების მაქსიმალური დროის განსაზღვრას, რაც 72 საათს შეადგენს, თუმცა ამით სახალხო დამცველის რეკომენდაცია მხოლოდ ნაწილობრივ შესრულდა. 2015 წლის საპარლამენტო ანგარიშში საქართველოს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს, დეესკალაციის/უსაფრთხო ოთახში პატიმრის მოთავსების მაქსიმალური დრო 24 საათი ყოფილიყო, რაც არ შესრულებულა.⁴

N3 დაწესებულების დებულება შესაძლებლობას აძლევს დაწესებულების ადმინისტრაციას პატიმარი შეუზღუდავი რაოდენობით მოათავსოს დეესკალაციის ოთახში. შესაბამისად, ისევ არსებობს პატიმრის ხანგრძლივი იზოლირების რისკი. აღნიშნული საკითხი შემდგომი ვიზიტების დროს იქნება სპეციალური პრევენციული ჯგუფის შემოწმების საგანი.

შემოწმების შედეგად სპეციალური პრევენციული ჯგუფი მივიდა დასკვნამდე, რომ N3 დაწესებულების ადმინისტრაცია ძირითადად ეყრდნობა ე.წ. „სტატიკური უსაფრთხოების“ ელემენტებს, რაც ვერ უზრუნველყოფს დაწესებულებაში, ადამიანის უფლებების დაცვის პირობებში, უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის მიზნის მიღწევას. შედეგად, მიუხედავად იმისა, რომ პატიმრები დღე-ღამეში 23 საათს საკანში ატარებენ, დაწესებულებაში არ არსებობს დეესკალაციის სათანადო სტრატეგია, სარეაბილიტაციო და ფსიქოლოგიური სერვისები. დაწესებულებაში რჩება თვითდაზიანების, ძალადობისა და აგრესიის გამოვლენის მაღალი რისკი, ხოლო თანამშრომლების მხრიდან პატიმრების მიმართ აგრესიული დამოკიდებულება მათ მიმართ არასათანადო მოპყრობის რეალურ საფრთხეს ქმნის.

დაწესებულების საცხოვრებელ საკნებში არსებული ფართი დაწესებულებაში განხორციელებული ორივე ვიზიტის დროს სრულად შეესაბამებოდა საქართველოს „პატიმრობის კოდექსის“ მე-15 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად დადგენილ მოთხოვნას,⁵ რაც მისასაღმებელია.

საკნების განიავების პრობლემის აღმოფხვრის მიზნით, დაწესებულებაში არსებულ საცხოვრებელ საკნებში 2015 წელს დამონტაჟდა კონდიციონერები, რაც დადებითად უნდა შეფასდეს. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სათანადო ვენტილაციის

⁴ იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2015 წლის წლიური ანგარიში, გვ. 44, ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3891.pdf> [ბოლოს ნანახია 02.11.2016]

⁵ „საქართველოს პატიმრობის კოდექსის“ მე-15 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „ერთ მსჯავრდებულზე საცხოვრებელი ფართობის ნორმა ყველა ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში არ უნდა იყოს 4 კვ. მეტრზე ნაკლები“.

უზრუნველყოფის პრობლემის აღმოსაფხვრელად საჭიროა ცენტრალური სავენტილაციო (გამწოვი) სისტემის ფუნქციონირება.

N3 დაწესებულებიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად,⁶ 2016 წლის განმავლობაში პატიმართა საცხოვრებელი კორპუსის პირველ სართულზე საკნები გადაკეთდა 1 ან 2 ადგილიან საკნებად, ისინი გათავისუფლდა ზედმეტი ინვენტარისგან, ჩატარდა სარემონტო სამუშაოები.

მიუხედავად დაწესებულებაში ჩატარებული სარემონტო სამუშაოებისა, დღემდე პრობლემურია საცხოვრებელ საკნებში არასაკმარისი ბუნებრივი განათება და ვენტილაცია; საკნებში ჭურჭლის შესანახი კარადების, თაროებისა და საკიდების არარსებობა; მოსაცდელ საკნებში ბუნებრივი და ხელოვნური ვენტილაციის არარსებობა; საკნებში არსებული ბეტონის (ცივი) იატაკი; პირველ სართულზე არსებულ სინესტე⁷; დეესკალაციის ოთხებში არსებული არადამაკმაყოფილებელი სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა; სამართლო და უსაფრთხო საკნებში სანიტარული კვანძის ელექტრონული მეთვალყურეობის არეალში მოქცევა; საშხაპე ოთახში გათბობის, ხელოვნური ვენტილაციის და ტანისამოსის საკიდების არარსებობა; წყლის გრაფიკით მიწოდების საკითხი; უსაფრთხო და სამართლო საკნებში მყოფი პატიმრების ტანისამოსით და პირადი ჰიგიენის ნივთებით მომარაგების პრობლემა; აღნიშნულ საკნებში ფანჯრების გაღების შეუძლებლობა.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2016 წლის 23-25 მაისს, სპეციალური პრევენციული ჯგუფის დაწესებულებაში ვიზიტის შემდეგ დაიწყო სარეაბილიტაციო კურსები. 2016 წელს სულ 8 კურსი ჩატარდა, მათ შორის: სასტუმრო საქმის მწარმოებელი, გიდი (ტურიზმი), ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერის სპეციალისტი, კომპიუტერული გრაფიკა, ვებსპეციალისტი, მცირე ბიზნესის მწარმოებელი, მართვის მოწმობის თეორიული კურსი და ვებდიზაინი. აღნიშნულ პროგრამებში მონაწილეობა მიიღო 4 მსჯავრდებულმა.⁸ მისასაღმებელია დაწესებულების მხრიდან სარეაბილიტაციო აქტივობების განსახორციელებლად გადადგმული ნაბიჯები, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული სარეაბილიტაციო პროგრამები სახალხო დამცველის მიერ ვერ შეფასდება საკმარისად.

განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში უმნიშვნელოვანესია მრავალმხრივი და პატიმართა ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული მრავალფეროვანი სარეაბილიტაციო პროგრამების განხორციელება. N3 დაწესებულებაში მყოფი მსჯავრდებულების ჩართულობა სარეაბილიტაციო პროგრამებში ძალიან დაბალია. სპეციალური პრევენციული ჯგუფის შეფასებით,

⁶ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს, პენიტენციური დეპარტამენტის N3 დაწესებულების დირექტორის 2017 წლის 18 იანვრის MOC 717 00043478 წერილის თანახმად.

⁷ მათ შორის სამედიცინო ნაწილში განთავსებული 3 საკანი.

⁸ 2017 წლის 18 იანვარს N3 დაწესებულებიდან გამოგზავნილი MOC 7 1700043478 პასუხი.

პატიმრებს არ აქვთ შესაძლებლობა დაკავდნენ რაიმე ღირებული, მათთვის საინტერესო საქმით. ამგვარი მდგომარეობა დაწესებულებაში ქმნის არაჯანსაღ, სტრესულ გარემოს, რაც უარყოფითად აისახება პატიმრებსა და თანამშრომლებს შორის არსებულ ურთიერთობაზე, ასევე წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფაზე.

დაწესებულებაში განხორციელებული ბოლო ვიზიტის დროს არ არსებობდა სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვის პროგრამა, სადაც მულტიდისციპლინური გუნდი იმუშავებდა კონკრეტული მსჯავრდებულის საჭიროებების გათვალისწინებით.

სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებთან საუბრის დროს N3 დაწესებულებაში მოთავსებული პატიმრები მიუთითებდნენ სამედიცინო პერსონალის ხელმისაწვდომობის პრობლემაზე, ასევე მათი მხრიდან უყურადღებობაზე. პატიმრების განმარტებით, ხშირად პირველადი სამედიცინო მომსახურების მისაღებად ლოდინი უწევთ. ამასთან, დაწესებულებაში არსებული პრაქტიკის თანახმად, თუ პატიმარს სურს შეხვდეს მთავარ ექიმს, განცხადებით უნდა მიმართოს მას, რის გამოც გვიანდება პატიმართან შეხვედრა.

სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებმა შეისწავლეს დოკუმენტაცია გაწეული სამედიცინო კონსულტაციების და კონსულტაციის მოლოდინში მყოფი პატიმრების შესახებ. ვინაიდან კონსულტანტთა ჟურნალში არ არის მითითებული ექიმთან ჩაწერის თარიღი, რთულია იმის დადგენა, თუ რამდენი ხანი ელოდა პაციენტი სამედიცინო მომსახურების მიღებას.

ზოგადად, დაწესებულებაში კვლავ პრობლემად რჩება სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების საკითხი. სამედიცინო ბარათების ერთიანობა დარღვეულია, რაც ქმნის სამედიცინო ჩანაწერების დაკარგვის საფრთხეს. რიგ შემთხვევებში ჩანაწერებში არ არის მითითებული კონსულტაციის გამწვევი ექიმის ვინაობა და არ არის აღნიშნული კონსულტაციის თარიღი. გამოიკვეთა სხვა მნიშვნელოვანი ხარვეზებიც. მაგალითად, 1985 წელს დაბადებული მსჯავრდებული გ. გურამის-ძე გ.-ს სამედიცინო ბარათში ჩაკრული აღმოჩნდა სამედიცინო დოკუმენტაცია, რომელიც ეკუთვნოდა სხვა პიროვნებას - 1954 წელს დაბადებულ იმავე სახელისა და გვარის მქონე გ. ღვთისოს-ძე გ.-ს.

სპეციალურმა პრევენციულმა ჯგუფმა დაწესებულებაში ჩატარებული მონიტორინგის დროს ასევე შეისწავლა სამედიცინო რეფერალის დროულობის საკითხი. პატიმართა განცხადებით, ხშირ შემთხვევაში გვიანდება სამედიცინო მომსახურების მისაღებად მათი გაყვანა, ამასთან, არც იმის შესახებ აქვთ ინფორმაცია, თუ რამდენ ხანში მიიღებენ სამედიცინო მომსახურებას.

დადებითად უნდა აღინიშნოს, რომ 2016 წლის მაისი-სექტემბრის პერიოდში ფსიქიატრის მიერ მონახულებული პაციენტების რაოდენობა გაიზარდა. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროდან 2016 წლის 9 ნოემბერს მიღებული

ინფორმაციის თანახმად, 2016 წლის მაისი-სექტემბრის პერიოდში თვის განმავლობაში ფსიქიატრი კონსულტაციას უწევდა საშუალოდ 32 პაციენტს. მიუხედავად იმისა, რომ პატიმართა რაოდენობა 2016 წლის ივლისიდან დაახლოებით სამჯერ შემცირდა, ფსიქიატრის მიერ ჩატარებული კონსულტაციების რაოდენობა გაიზარდა.

N3 დაწესებულების სამედიცინო პერსონალის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, პატიმრებს აწუხებთ ტკივილი წელის არეში (ე.წ. „ნარის სიმპტომი“), რაც განპირობებულია უმოძრაობით და მცირე ფართის საწოლზე⁹ ერთ პოზაში წოლით; ასევე აქვთ კუჭ-ნაწლავის დაავადებები, გამოწვეული უმოძრაობით, კვების და ძილის რეჟიმის დარღვევით; ხშირია თავის ტკივილები, რასაც სამედიცინო პერსონალი საკანში უპაერობას/ჟანგბადის ნაკლებობას უკავშირებს; პერსონალი ასევე აცხადებს, რომ ხშირია შემთხვევები, როდესაც პატიმრებს აღნიშნებათ გამონაყარი, რომელსაც მედიკამენტურად ვერ მკურნალობენ და ვარაუდობენ, რომ ეს გამონაყარი განპირობებულია საკანში არსებული პირობებითა და უპაერობით.

N3 დაწესებულებაში საგანგაშოდ არის გაზრდილი დისციპლინური სახდელების გამოყენების მაჩვენებელი. კერძოდ, თუ 2015 წელს ერთ პატიმარზე საშუალოდ 2 დისციპლინური სახდელი მოდიოდა, 2016 წელს ამ მაჩვენებელმა ერთ პატიმარზე საშუალოდ 9 შეადგინა.

2015 წლის მანძილზე დაწესებულებაში პატიმრები 47 შემთხვევაში წახალისეს, აქედან 10 შემთხვევაში სარეაბილიტაციო აქტივობებში მონაწილეობის გამო. რაც შეეხება 2016 წელს, წახალისების მხოლოდ 7 შემთხვევიდან არცერთი წახალისება არ იყო სარეაბილიტაციო აქტივობებში მონაწილეობის გამო, რაც უარყოფითად უნდა შეფასდეს.

N3 დაწესებულების დებულების თანახმად, მსჯავრდებულები ვალდებულები არიან დაწესებულების დირექტორს წინასწარ მიაწოდონ ის სატელეფონო ნომრები, სადაც დარეკვას აპირებენ.¹⁰ ამ ნომრების გარდა, პატიმარი ვერ შეძლებს სხვა ნომრებზე დარეკვას დირექტორისთვის განმეორებითი წერილობითი მიმართვის გარეშე. აღნიშნულის გამო პატიმრებს უჭირთ სახალხო დამცველის ოფისთან, გენერალურ ინსპექციასთან და სხვა უწყებებთან დაკავშირება, რადგან აღნიშნული წესი ამ ნომრებზეც ვრცელდება.

დაწესებულებაში სატელეფონო ზარის განხორციელება შესაძლებელია საცხოვრებელ კორპუსებში არსებული ტელეფონის აპარატებით, რომლებიც განთავსებულია დაწესებულების თანამშრომელთა სამორიგეო ოთახში. დარეკვის დროს საუბარს ყოველთვის ესწრება მორიგე თანამშრომელი, რაც გამორიცხავს საუბრის კონფიდენციალურობას.

⁹ საწოლის ფართი 63x189 სმ.

¹⁰ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება N109, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს N3 პენიტენციური დაწესებულების დებულების დამტკიცების შესახებ; მუხლი 42, პუნქტები 1,2 და 3.

N3 დაწესებულებაში პრობლემას წარმოადგენს კონფიდენციალური წერილის გაგზავნაც. კერძოდ, შეუძლებელია კონფიდენციალური საჩივრის დასაწერად საჭირო კონვერტის მიღება ისე, რომ არ მოხდეს პატიმრის იდენტიფიცირება. კონვერტის მისაღებად პატიმარი მიმართავს სოციალურ სამსახურს. პატიმრებს არ აქვთ საშუალება კონფიდენციალურად დაწერონ საჩივარი იმ შემთხვევებში, როდესაც მათ წერილის დაწერაში სოციალური სამსახურის თანამშრომლის დახმარება სჭირდებათ. აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ სოციალური სამსახურის თანამშრომლები არ შედიან საკანში და პატიმრებს ესაუბრებიან საკნის კარზე არსებული საკვებურიდან. საკანში შესვლის შემთხვევაში კი, მათი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად თან ახლავთ უსაფრთხოების თანამშრომელი. აღნიშნული არღვევს საჩივრის შინაარსის კონფიდენციალურობას და აჩენს უნდობლობას დაწესებულების სოციალური სამსახურის მიმართ.

მიუხედავად იმისა, რომ N3 დაწესებულებაში არსებული ინფრასტრუქტურა იძლევა ერთდროულად 3 ხანმოკლე პაემნის განხორციელების შესაძლებლობას, პატიმართა დაპირისპირების რისკ-ფაქტორების გათვალისწინებით, ერთდროულად რამდენიმე პაემანი აკრძალულია. პატიმართა განმარტებით, აღნიშნულის გამო მათ სანახავად მისულ ოჯახის წევრებს საათობით უწევთ ლოდინი.

კვლავ პრობლემურია ხანმოკლე პაემნის განხორციელება მინის გამყოფი ბარიერის მეშვეობით, ასეთ შემთხვევაში პატიმარი მოკლებულია ოჯახის წევრებთან ფიზიკური ურთიერთობის საშუალებას. გარდა ამისა, როგორც ხანგრძლივი, ასევე ხანმოკლე პაემნით სარგებლობასთან დაკავშირებით პრობლემები ექმნება დაწესებულებაში მოთავსებული პატიმრების დაახლოებით 42,6%-ს,¹¹ რომელთა ოჯახებიც აღმოსავლეთ საქართველოში ცხოვრობენ.

2. შესავალი

წინამდებარე ანგარიში წარმოადგენს საქართველოს პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ 2016 წლის 23-25 მაისს და 2017 წლის 2-4 თებერვალს N3 პენიტენციურ დაწესებულებაში განხორციელებული ვიზიტის შემდგომ ანგარიშს.

N3 დაწესებულება პატიმრობისა და განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაა,¹² რომელიც განკუთვნილია 557 პატიმრის განთავსებისთვის. 2016 წლის 23-25 მაისს განხორციელებული ვიზიტის დროს დაწესებულებაში იმყოფებოდა 158, ხოლო 2017 წლის 2-4 თებერვალს განხორციელებული ვიზიტის დროს - 30 პატიმარი.

¹¹ 2016 წლის 25 მაისის მდგომარეობით

¹² საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს N 106 ბრძანება, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციური დაწესებულებების შესახებ.

ანგარიშის მომზადებისას სხვა მასალასთან ერთად გამოყენებული იქნა სპეციალური პრევენციული ჯგუფის ვიზიტში მონაწილე წევრების¹³ ტექნიკური ანგარიშები. ვიზიტის დროს მოპოვებული დოკუმენტაცია, ასევე მონიტორინგის ჯგუფის წევრთა ანგარიშები ინახება საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში. ანგარიში შეიცავს მონიტორინგის ჯგუფის ძირითად მიგნებებს და შედგენილია იმგვარად, რომ ინტერვიუს კონფიდენციალური ხასიათიდან გამომდინარე, არ მოხდეს რესპონდენტ პატიმართა იდენტიფიკაცია.

გარდა ვიზიტის დროს მიღებული ინფორმაციისა, სპეციალურმა პრევენციულმა ჯგუფმა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროდან დამატებით გამოითხოვა და დაამუშავა 2016 წლის სტატისტიკური მონაცემები.

ვიზიტის მიმდინარეობის დროს მონიტორინგის ჯგუფის წევრები დაუბრკოლებლად გადაადგილდებოდნენ დაწესებულების ტერიტორიაზე და ადმინისტრაციის მხრიდან მონიტორინგისთვის ხელის შეშლას ადგილი არ ჰქონია. თუმცა, დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებს არ მისცეს საშუალება, გაცნობოდნენ ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობის დაწესების შესახებ დირექტორის ბრძანებებზე თანდართულ უსაფრთხოების განყოფილების შუამდგომლობებს, რადგან, მათივე განმარტებით, შუამდგომლობებში ასახული ინფორმაცია წარმოადგენდა საიდუმლოებას. ამდენად, ჯგუფის წევრებმა ვერ შეძლეს შეეფასებინათ, რამდენად დასაბუთებული და პროპორციული იყო აღნიშნული ღონისძიებების გამოყენება.

3. არასათანადო მოპყრობა

N3 დაწესებულებაში 2016 წლის 23-25 მაისს განხორციელებული ვიზიტის დროს სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებმა მიიღეს ინფორმაცია დაწესებულების თანამშრომლების მიერ პატიმრის მიმართ განხორციელებული არასათანადო მოპყრობის სავარაუდო ფაქტის შესახებ. კერძოდ, პატიმრის განმარტებით, N3 დაწესებულებაში შესახლებისას, როდესაც ტანსაცმლის გახდა მოსთხოვეს, მან შესაბამისი ნორმატიული აქტის ჩვენება მოითხოვა, რომლითაც განსაზღვრული იქნებოდა პატიმრების შემოწმება/დათვალიერების პროცედურა. ამის შემდეგ ის სამართლო საკანში მოათავსეს, სადაც მიიყენა თვითდაზიანება. პატიმრის განცხადებით, თვითდაზიანების მიყენების შემდეგ საკანში შევიდნენ დაწესებულების თანამშრომლები, მიაყენეს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა, დაარტყეს ჭრილობაზე და ხელბორკილით აიყვანეს

¹³I ვიზიტი: სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრები: ნიკა კვარაცხელია, დანიელ მგელიაშვილი, ლევან ბეგიაშვილი, მერი სამსონია, ხატია ხელაძე, მაია არჩვაძე, კახაბერ გოგაშვილი, თეიმურაზ რეხვიაშვილი, ლალი წულეისიკირი და თეა ფანჩულიძე.

II ვიზიტი: სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრები: ნიკა კვარაცხელია, დანიელ მგელიაშვილი, ლევან ბეგიაშვილი, მერი სამსონია, ხატია ხელაძე, ხათუნა ბაგრატიონი, შორენა ღუდუშაური, მაია არჩვაძე.

უსაფრთხო ოთახში. უსაფრთხო ოთახში მოთავსებიდან მე-3 დღეს მასთან შევიდნენ დაწესებულების თანამშრომლები, დაადეს ხელბორკილი, გააშიშვლეს და ერთ-ერთმა თანამშრომელმა მას გაუსაძლისი ტკივილი მიაყენა. კერძოდ, დაქაჩა ყურის არეში, ორჯერ დაარტყა ფეხი ხერხემალში და ხელბორკილის დადებისას თავს არტყმევინებდა კედელზე. პატიმარმა განაცხადა, რომ მომხდარის შესახებ უამბო გენერალური ინსპექციის თანამშრომლებს, რომლებმაც იგი საკანში მოინახულეს.

ზემოაღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, სახალხო დამცველმა 2016 წლის 13 ივნისს N11-5/6170 წერილით მიმართა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს გენერალურ ინსპექციას და მოითხოვა ინფორმაციის წარმოდგენა, თუ რა რეაგირება მოყვა პატიმართან გენერალური ინსპექციის თანამშრომლების შეხვედრას და საკითხის შესწავლას.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრომ 2016 წლის 23 ივნისის წერილით სახალხო დამცველის აპარატს მიაწოდა ზემოხსენებულ ფაქტზე გენერალური ინსპექციის მიერ წარმოებული სამსახურებრივი შემოწმების მასალები, საიდანაც ირკვევა, რომ პატიმრის უფლებების დარღვევის ფაქტი არ დადასტურდა.

აღსანიშნავია, რომ გამოკითხული პატიმრების უმეტესობის განმარტებით, დაწესებულების თანამშრომლებსა და პატიმრებს შორის დაძაბული, კონფლიქტური ურთიერთობაა. პატიმრთა განცხადებით, დაწესებულების თანამშრომლები ცდილობენ მათ გამოწვევას, საათობით არ მიდიან საკანთან, როდესაც მათ პატიმარი ეძახის. დაძაბული ემოციური მდგომარეობიდან გამომდინარე, პატიმრები ადვილად ღიზიანდებიან თანამშრომლების გამომწვევ საქციელზე და ხმაურობენ. ხმაურის გამო კი მათ დისციპლინურ სახდელს აკისრებენ, მათ შორის, ათავსებენ უსაფრთხო ოთახში.

როგორც N3 დაწესებულებაში 2016 წლის 23-25 მაისს განხორციელებული ვიზიტის დროს გაირკვა, უსაფრთხო ოთახში პატიმრების მოთავსება ცალკეულ შემთხვევებში საკმაოდ ხანგრძლივი ვადით ხდება.¹⁴ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2016 წლის განმავლობაში უსაფრთხო ოთახებში პატიმრები 116 შემთხვევაში შეასახლეს.

აღსანიშნავია, რომ დეესკალაციის ოთახში მოთავსების ღონისძიების გამოყენების საფუძვლები, პროცედურა და სამართლებრივი გარანტიები გათვალისწინებული არ არის საკანონმდებლო დონეზე და მინისტრის ბრძანებით რეგულირდება. საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს N109 ბრძანებით დამტკიცებული N3 პენიტენციური დაწესებულების დებულების (2016 წლის 9 აგვისტომდე არსებული რედაქცია) 26-ე მუხლის თანახმად,

¹⁴ მაგალითად, გ.ი. – 36 დღე, ა.ვ. – 22 დღე, ჯ.შ. – 15 დღე, ა.რ. – 13 დღე, ა.ვ. – 13 დღე, მ.რ. – 12 დღე, ხ.გ. – 11 დღე, მ.კ. – 10 დღე, ო.გ. – 9 დღე, მ.რ. – 8 დღე.

„1. თუ აშკარაა, რომ ბრალდებული/მსჯავრდებული საფრთხეს უქმნის ან შეიძლება შეუქმნას საკუთარ ან სხვის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან/და ქონებას, შესაბამისი ინფრასტრუქტურის არსებობის შემთხვევაში, იგი შეიძლება გადაყვანილ იქნეს უსაფრთხო ოთახში, დაწესებულების დირექტორის გადაწყვეტილებით.

2. ბრალდებული/მსჯავრდებული უსაფრთხო ოთახში თავსდება საფრთხის აღმოფხვრამდე. ბრალდებულის/მსჯავრდებულის უსაფრთხო ოთახში გადაყვანისა და იქიდან მისი საკანში დაბრუნების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს დაწესებულების დირექტორი.

3. დაუშვებელია ბრალდებულის/მსჯავრდებულის უსაფრთხო ოთახში დასჯის მიზნით გადაყვანა.“

დაწესებულების დებულების თავდაპირველ ვერსიაში პატიმრის უსაფრთხო ოთახში მოთავსების მაქსიმალური ვადა განსაზღვრული არ იყო. შესაბამისად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა შეფასებულიყო, ამოიწურა თუ ისევ არსებობდა პატიმრის უსაფრთხო ოთახში ყოფნის დებულებით განსაზღვრული გარემოებები.

2016 წლის 9 აგვისტოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის N107 ბრძანებით, ცვლილება შევიდა N3 პენიტენციური დაწესებულების დებულებაში და უსაფრთხო ოთახში პატიმრების გადაყვანის პროცედურა შეიცვალა პატიმრების დეესკალაციის ოთახში გადაყვანის პროცედურით. კერძოდ, განისაზღვრა, რომ თუ ბრალდებული/მსჯავრდებული საფრთხეს უქმნის ან შეიძლება შეუქმნას საკუთარ ან სხვის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას, იგი შესაძლებელია მოთავსდეს სათანადოდ აღჭურვილ დეესკალაციის ოთახში სამედიცინო პერსონალის უწყვეტი ხელმისაწვდომობის და დაწესებულებაში უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის 24-საათიანი ვიზუალური საშუალებებით მეთვალყურეობის ქვეშ. დეესკალაციის ოთახი აღჭურვილი უნდა იყოს უსაფრთხო ლეიბით, სათვალთვალო კამერით, დისტანციურად მართვადი, დაზიანებისადმი მედეგი ღია ტიპის ტუალეტით, ონკანით, განათებით და სათანადო ვენტილაციით. ბრალდებული/მსჯავრდებული დეესკალაციის ოთახში შეიძლება განთავსდეს იმ საფრთხის აღმოფხვრამდე, რამაც მისი დეესკალაციის ოთახში მოთავსება განაპირობა, მაგრამ არაუმეტეს 72 საათისა. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული საფრთხის არსებობისას და ამ მუხლით დადგენილი წესით პირის დეესკალაციის ოთახში მოთავსების რაოდენობა შეზღუდული არ არის.

სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ დადებითად შეფასდა ის გარემოება, რომ განისაზღვრა დეესკალაციის ოთახში პატიმრის მოთავსების მაქსიმალური ვადა - 72 საათი, თუმცა ამით სახალხო დამცველის რეკომენდაცია მხოლოდ ნაწილობრივ შესრულდა. 2015 წლის საპარლამენტო ანგარიშში საქართველოს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს,

დეესკალაციის/უსაფრთხო ოთახში პატიმრის მოთავსების მაქსიმალურ დროდ განსაზღვრული ყოფილიყო 24 საათი, რაც არ შესრულებულა.¹⁵

ამასთან, N3 დაწესებულების დებულება შესაძლებლობას აძლევს დაწესებულების ადმინისტრაციას პატიმარი შეუზღუდავი რაოდენობით მოათავსოს დეესკალაციის ოთახში. შესაბამისად, არსებობს რისკი, რომ კვლავ მოხდება პატიმრის ხანგრძლივი დროით იზოლირება. აღნიშნული საკითხის შესწავლა როგორც წინა ვიზიტების, ასევე შემდგომი ვიზიტების დროს იქნება სპეციალური პრევენციული ჯგუფის შემოწმების საგანი.

განხორციელებული ვიზიტების დროს სპეციალურმა პრევენციულმა ჯგუფმა დაათვალიერა N3 დაწესებულების დეესკალაციის/უსაფრთხო ოთახები. დაწესებულებაში სულ 4 დეესკალაციის ოთახია. ოთახებში დაცული არ იყო სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა, არ იღებოდა ფანჯრები და შესაბამისად, არ ხდებოდა ბუნებრივი ვენტილაცია. ოთახებში იყო სიციხე. იატაკზე იდო ლეიბი და დამონტაჟებული იყო ღია საპირფარეშო, რომელიც ხვდებოდა სათვალთვალო კამერის ხედვის არეალში. ოთახებში ტემპერატურის რეგულირება და სუფთა ჰაერის მიწოდება ხდებოდა ერთიანი სავენტილაციო სისტემით, რომელსაც დაწესებულების თანამშრომლები არეგულირებენ. აღსანიშნავია, რომ ვენტილაციის ჩართვის შემთხვევაში, ოთხივე უსაფრთხო ოთახს ერთნაირი ტემპერატურის ჰაერი მიეწოდება და ამ დროს არ ხდება პატიმრების ინდივიდუალური საჭიროების გათვალისწინება. ერთ-ერთი პატიმრის თქმით, ბოლო პერიოდში ის იძულებული იყო ეთმინა საკანში სიციხე და სიგარეტის კვამლი და მხოლოდ მცირე ხნით ითხოვდა ვენტილაციის ჩართვას, რადგან მეორე დეესკალაციის/უსაფრთხო ოთახში მყოფ პატიმარს ხშირად სციოდა შიმშილობით გამოწვეული სისუსტის გამო და არ უნდოდა მის ჯანმრთელობას პრობლემა შექმნოდა. გარდა ამისა, დეესკალაციის/უსაფრთხო ოთახებს წყალი მიეწოდებოდა დღის 11 საათიდან ღამის 12 საათამდე, რის გამოც ღამის საათებში ტუალეტით სარგებლობის შემთხვევაში, ოთახში დგებოდა ცუდი სუნი და შეუძლებელი იყო პირადი ჰიგიენის დაცვა. პატიმრებს შეზღუდულად მიეწოდებოდათ პირადი ჰიგიენის დაცვისა და ჭურჭლის სარეცხი საშუალებები და ხელი არ მიუწვდებოდათ საკუთარ ტანსაცმელზე, რომელსაც დაწესებულების თანამშრომლები ინახავდნენ.

გარდა მძიმე საყოფაცხოვრებო პირობებისა, როგორც პატიმრები განმარტავდნენ, დეესკალაციის/უსაფრთხო ოთახებში მათ არ აძლევდნენ მაღაზიით, ტელეფონით, პირადი მიმოწერით და პაემნით სარგებლობის უფლებას.

სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრთა დაკვირვებით, ერთადერთი ინტერვენცია, რომელსაც დაწესებულების ადმინისტრაცია მიმართავს, თუ არსებობს პატიმრის მიერ

¹⁵ იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2015 წლის წლიური ანგარიში, გვ. 44, ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3891.pdf> [ბოლოს ნანახია 02.11.2016]

საკუთარი ან სხვისი სიცოცხლის ან ჯანმრთელობის დაზიანების რისკი – უსაფრთხოების ღონისძიების გამოყენება, მათ შორის, დეესკალაციის/უსაფრთხო ოთახში პატიმრის მოთავსება. საგულისხმოა, რომ პატიმრის დეესკალაციის ოთახში მოთავსების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს დაწესებულების დირექტორი და არ ხდება ფსიქოლოგის, ფსიქიატრის, სოციალური მუშაკის, ექიმის და დაწესებულების სხვა სამსახურების თანამშრომლების ერთობლივი, მულტიდისციპლინური მუშაობა ზემოხსენებული რისკების შემცირების/აღმოფხვრის მიზნით.

სპეციალური პრევენციული ჯგუფის ხელთ არსებული ინფორმაციით, დეესკალაციის ოთახში მოთავსებისას არ ხდება პატიმრის სომატური და ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინება და შესაბამისად, მისი ხანგრძლივი იზოლირება შესაძლოა სუიციდის და თვითდაზიანების მაპროვოცირებელიც კი გახდეს. ჯგუფის მიერ გადამოწმებული ინფორმაციის მიხედვით, მიუხედავად ერთ-ერთი პატიმრის მძიმე ჯანმრთელობის მდგომარეობისა, ის დეესკალაციის ოთახიდან სამედიცინო ნაწილში არ გადაუყვანიათ და მას სათანადო სიხშირით არ უწევდა დახმარებას სამედიცინო პერსონალი.

N3 დაწესებულებაში დეესკალაციის/უსაფრთხო ოთახში პატიმრის მიერ თვითდაზიანების მიყენების რამდენიმე შემთხვევა ეჭვქვეშ აყენებს პატიმრის მიერ მისი სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაზიანების თავიდან აცილების მიზნით, ამ ზომის გამოყენების ეფექტურობას. 2016 წლის იანვრიდან მაისის ჩათვლით, დეესკალაციის/უსაფრთხო ოთახში პატიმრებმა თვითდაზიანება 9 შემთხვევაში მიიყენეს. შესაბამისად, ნათელია, რომ მხოლოდ აღნიშნულ ოთახში მოთავსება არაა ეფექტიანი საშუალება პატიმრების მიერ თვითდაზიანების მიყენების თავიდან ასაცილებლად და იქ არსებული პირობები, იზოლირებასთან ერთად შესაძლოა პატიმრის მიერ აუტო-აგრესიის მაპროვოცირებელიც კი გახდეს. დეესკალაციის ოთახებში არსებული გარემო და პირობები არ არის უსაფრთხო ან მოწყობილი იმგვარად, რომ მინიმუმამდე იყოს დაყვანილი თვითდაზიანების რისკი.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, დეესკალაციის/უსაფრთხო ოთახების კედლების მოსაპირკეთებელი რბილი მასალა საქართველოს მასშტაბით არ არის ხელმისაწვდომი. შესაბამისად, სამინისტრომ მოიძია აღნიშნული პროდუქციის სხვადასხვა ქვეყნებში მწარმოებელი კომპანიები და ამ ეტაპზე მიმდინარეობს მოლაპარაკებები ზემოხსენებული მასალის შესაძენად. საქართველოს სახალხო დამცველი დადებითად აფასებს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ძალისხმევას და იმედს იტოვებს, რომ პენიტენციურ დაწესებულებებში არსებული დეესკალაციის ოთახების სათანადოდ აღჭურვა მოკლე პერიოდში დასრულდება.

როგორც ვიზიტების შედეგად გაირკვა, პატიმრებს აქვთ განცდა, რომ დეესკალაციის/უსაფრთხო ოთახებში მათი გადაყვანა ხდება დასჯის მიზნით, მათ მიერ დაწესებულების დებულების დარღვევის შემთხვევაში და არა მათი უსაფრთხოების

უზრუნველსაყოფად. დაწესებულებაში არსებული დოკუმენტაციის შესწავლის შედეგების მიხედვით, უსაფრთხო ოთახში მოთავსების 51 შემთხვევიდან 22 შემთხვევაში პატიმრის დისციპლინური დასჯა (სატელეფონო საუბრის უფლების, პაემნის უფლების, პირადი მიმოწერის უფლების შეზღუდვა) უსაფრთხო ოთახში გადაყვანის პერიოდში მოხდა. სპეციალური პრევენციული ჯგუფის აზრით, დაუშვებელია დასჯის მიზნით უსაფრთხოების ღონისძიებების გამოყენება და ის უნდა ემსახურებოდეს მხოლოდ კანონმდებლობით განსაზღვრულ მიზანს, დაწესებულებაში მყოფ პირთა უსაფრთხოების დაცვას.

იმ პირობებში, როდესაც დაწესებულებაში არ არის სათანადო სარეაბილიტაციო და ფსიქოლოგიური სერვისები და დღე-ღამის განმავლობაში პატიმრები საკანში ატარებენ 23 საათს, სპეციალური პრევენციული ჯგუფის შეფასებით, ხანგრძლივი ვადით პატიმრების უსაფრთხო ოთახში მოთავსება, შესაძლოა გაუტოლდეს არაადამიანურ და ღირსების შემლახავ მოპყრობას.¹⁶

საქართველოს სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ დეესკალაციის ოთახში პატიმრის მოთავსება შესაძლოა მხოლოდ იმწუთიერი, გადაუდებელი ღონისძიება იყოს. შესაბამისად, დაუშვებელია პატიმრის ხანგრძლივი ვადით მოთავსება დეესკალაციის ოთახში არსებულ პირობებში. პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაციამ უნდა მიმართოს სხვა ზომებს, მათ შორის, უნდა მოხდეს მულტიდისციპლინური ჯგუფის (ფსიქოლოგის, სოციალური მუშაკის, ექიმის და საჭიროების შემთხვევაში, ფსიქიატრის) ჩართვა და პატიმრისათვის ადეკვატური დახმარების გაწევა. სპეციალურ პრევენციული ჯგუფს მიაჩნია, რომ ცვლილებები უნდა შევიდეს N3 დაწესებულების დებულებაში და დეესკალაციის ოთახში მოთავსების მაქსიმალურ ხანგრძლივობად 24 საათი განისაზღვროს.¹⁷

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად,¹⁸ N3 პენიტენციურ დაწესებულებაში პატიმრების სხეულის

¹⁶ გაეროს სპეციალური მომხსენებელი წამების საკითხებში 2015 წელს საქართველოში განხორციელებული ვიზიტის შესახებ ანგარიშში (პარ. 85) აღნიშნავს: „სპეციალური მომხსენებელი ინფორმირებულ იქნა იმასთან დაკავშირებით, რომ პრაქტიკაში პატიმრებმა შესაძლებელია რამდენიმე თვე გაატარონ იზოლირების პირობებში და მიიჩნევს, რომ აღნიშნული შეიძლება წარმოადგენდეს სასტიკ, არაადამიანურ ან ღირსების შემლახავი მოპყრობას და წამებასაც კი გაუტოლდეს. ანგარიში ინგლისურ ენაზე ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <https://documents-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/G15/273/24/PDF/G1527324.pdf?OpenElement>

[ბოლოს ნანახია: 10.09.2016]

¹⁷ პატიმრების ხანგრძლივ იზოლირებასთან დაკავშირებით, იხილეთ წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის (CPT) ანგარიში 2014 წელს საქართველოში ვიზიტის შესახებ CPT/Inf (2015) პარ. 94.

¹⁸ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს 2016 წლის 10 მარტის MOC 71600192429 წერილი (საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში რეგისტრირებული – N3159/16).

დაზიანებათა რაოდენობის შესახებ 2015 და 2016 წლების მონაცემები შემდეგნაირად გამოიყურება:

	2015 წელი	2016 წელი
თვითდაზიანება	0	180
სხვა პირის მიერ	0	9
საყოფაცხოვრებო	16	23
დაუზუსტებელი	3	0
დაზიანებათა საერთო რაოდენობა	19	212
პატიმართა საშუალო რაოდენობა	161	101

ზემოაღნიშნული ცხრილიდან ნათლად ჩანს, რომ 2015 წელთან შედარებით, 2016 წელს N3 დაწესებულებაში მყოფი პატიმრების საშუალო რაოდენობა დაახლოებით 1/3-ით შემცირდა, თუმცა 2015 წელთან შედარებით, 2016 წელს პატიმრების სხეულის დაზიანების შემთხვევების რიცხვი დაახლოებით 10-ჯერ გაიზარდა. 2016 წელს დაფიქსირდა სხვა პირის მიერ დაზიანების მიყენების 9 შემთხვევა, მაშინ, როდესაც, ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, 2015 წელს მსგავსი შემთხვევა არ დაფიქსირებულა. ამავე დროს აღსანიშნავია, რომ 2016 წელს დაზიანებების საერთო რაოდენობა გაზრდილია თვითდაზიანებების შემთხვევების რაოდენობის გაზრდის გამო. რაც მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ დაწესებულებაში არ არის ჯანსაღი გარემო და აუცილებელია შესაბამისი ღონისძიებების გატარება არსებული ვითარების გამოსწორების მიზნით.

როგორც ვიზიტის დროს გაირკვა, დაწესებულებაში შესახლებისას, ყველა შემთხვევაში ხდება პატიმრის სრული შემოწმება და სხეულის დათვალიერება, დაზიანებების აღმოჩენის მიზნით. პატიმრების სხეულის დათვალიერებას ყოველთვის ესწრება დაწესებულების უსაფრთხოების სამსახურის ან სამართლებრივი რეჟიმის თანამშრომელი. სხეულის დათვალიერებისას პატიმრებს აშიშვლებენ და სთხოვენ ბუქნების გაკეთებას, რაც პატიმართა განმარტებით, ღირსების შემლახავია. ოთახში დამონტაჟებულია სათვალთვალო კამერა. შესაბამისად, სპეციალური პრევენციული ჯგუფის დაკვირვებით, პატიმართა სხეულის დათვალიერებისას ექიმთან მათი შეხვედრის კონფიდენციალურობა დაცული არ არის.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2016 წლის 26 ოქტომბრის N131 ბრძანებით დამტკიცდა „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციურ დაწესებულებებში შესაძლო წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის შედეგად ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა დაზიანების აღრიცხვის წესი“.¹⁹ აღნიშნული წესის თანახმად, თუ სამედიცინო მომსახურების გაწევისას სამედიცინო პერსონალი პაციენტს

¹⁹ აღნიშნული ბრძანების თანახმად, მითითებული წესი ამოქმედდა 2017 წლის 1 აპრილიდან.

შეამჩნევს რაიმე სახის ფიზიკურ დაზიანებას, ემოციური მდგომარეობის ცვლილებას ან/და სხვა ისეთ გარემოებას, რომელიც ობიექტურ პირს აღუძრავს ეჭვს პაციენტის მიმართ შესაძლო წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის შესახებ, სამედიცინო პერსონალმა უნდა გამოიჩინოს მაქსიმალური ძალისხმევა ზემოაღნიშნულის თაობაზე პაციენტისგან ინფორმაციის მოსაპოვებლად. ამავე ბრძანებით დამტკიცდა დაზიანების აღრიცხვის ფორმა, რაც ექიმს შესაძლებლობას აძლევს ილუსტრაციების გამოყენებით მიუთითოს დაზიანებების ადგილმდებარეობა. აღნიშნული წესი ასევე ითვალისწინებს, რომ დაზიანების აღრიცხვის ფორმის შევსებისას, პაციენტის თანხმობის შემთხვევაში, ექიმი ვალდებულია გადაიღოს დაზიანების ამსახველი ფერადი ფოტო.

საქართველოს სახალხო დამცველი მიესალმება საკითხის სამართლებრივ დარეგულირებას და წინგადადგმულ ნაბიჯად აფასებს აღნიშნული წესის დამტკიცებას. თუმცა აღსანიშნავია, რომ N3 დაწესებულებაში განხორციელებული ვიზიტების დროს, პატიმრების სხეულზე არსებული დაზიანების აღრიცხვის ახალი წესი არ მოქმედებდა,²⁰ ხოლო არსებული პრაქტიკით დაზიანებების აღწერა, ისევე როგორც წინა წლებში, ხარვეზებით მიმდინარეობდა და ვერ უზრუნველყოფდა არასათანადო მოპყრობის ფაქტების ეფექტურ გამოვლენას და დოკუმენტირებას. აღნიშნული პრობლემა მიმოხილულია და სახალხო დამცველის მიერ შესაბამისი რეკომენდაციები გაცემულია პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2015 წლის წლიურ ანგარიშში.²¹

რეკომენდაციები სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს:

- ❖ უზრუნველყოს დეესკალაციის ოთახების გამოყენების პრაქტიკის შესწავლა და მიიღოს ზომები პატიმართა უსაფრთხო ოთახებში დასჯის მიზნით მოთავსების პრაქტიკის აღმოსაფხვრელად;
- ❖ მიიღოს ყველა საჭირო ზომა, მათ შორის, სწავლებისა და ზედამხედველობის განხორციელების გზით, დაწესებულების თანამშრომლების მხრიდან პატიმრების მიმართ არასათანადო მოპყრობის რისკის შესამცირებლად;
- ❖ არასათანადო მოპყრობის პრევენციის მიზნით უზრუნველყოს ობიექტური შიდა მონიტორინგი;
- ❖ დაწესებულების სამედიცინო პერსონალს ჩაუტარდეს არასათანადო მოპყრობის ფაქტების იდენტიფიცირებისა და დოკუმენტირების შესახებ ინტენსიური სწავლება;
- ❖ მიიღოს ყველა ზომა, სარეაბილიტაციო პროგრამებში პატიმრების ჩართვის

²⁰ ამოქმედდა 2017 წლის 1 აპრილიდან.

²¹ იხ. საქართველოს პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2015 წლის ანგარიში, გვ. 29-35, ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3777.pdf> [ბოლოს ნანახია 20.09. 2016]

4. უსაფრთხოება

უსაფრთხოება მოიცავს პატიმარებისა და დაწესებულებაში მომუშავე პერსონალისთვის უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფას, პატიმართა შორის ძალადობის, სუიციდისა და თვითდაზიანების, ხანძრის და სხვა საგანგებო სიტუაციების პრევენციას.

ვიზიტის მიმდინარეობისას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო დაწესებულებაში უსაფრთხოების კუთხით არსებულ მდგომარეობას და დაწესებულების უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობის სპეციფიკის შესწავლას.

პატიმრობის კოდექსის 54-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად,

„დასაბუთებული ვარაუდის არსებობისას ადმინისტრაციას უფლება აქვს, ბრალდებულის/მსჯავრდებულის ან სხვა პირთა უსაფრთხოებისა და სხვა კანონიერი ინტერესებიდან გამომდინარე – თვითმკვლელობის, თვითდაზიანების, მის ან სხვა პირთა მიმართ ძალადობის, ქონების დაზიანების, აგრეთვე სხვა დანაშაულისა თუ სამართალდარღვევის თავიდან ასაცილებლად განახორციელოს ვიზუალური ან/და ელექტრონული მეთვალყურეობა და კონტროლი. ელექტრონული მეთვალყურეობა ხორციელდება აუდიო-ვიდეო საშუალებებით ან/და კონტროლის სხვა ტექნიკური საშუალებებით. ადმინისტრაცია უფლებამოსილია განახორციელოს ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობის, კონტროლის და ამ პროცესის შედეგად მიღებული ინფორმაციის ჩაწერა. ამავე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობისა და კონტროლის განხორციელების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება იმ შემთხვევაში, თუ სხვა საშუალებების გამოყენება არაეფექტიანია. მიღებული გადაწყვეტილება დასაბუთებული და მიზნის პროპორციული უნდა იყოს. ამავე მუხლის მე-8 ნაწილის თანახმად, ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული გარემოების აღმოფხვრისთანავე ადმინისტრაცია წყვეტს ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობას. დაუშვებელია ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობისა და კონტროლის ბრალდებულის/ მსჯავრდებულის დასჯის მიზნით განხორციელება.“²²

წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი (CPT) დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობისა და კონტროლის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთებულობას და მიუთითებს, რომ

²² პატიმრობის კოდექსი, მუხ. 54 (1)

სათანადო დასაბუთების გარეშე აღნიშნული ღონისძიების გამოყენება შეიძლება ჩაითვალოს პატიმრის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევად.²³

„ევროპული ციხის წესების“ 50.1 მუხლის თანახმად, „ინდივიდუალური პატიმრების მიმართ გამოყენებული უშიშროების ზომები უნდა იყოს მინიმალური, რაც კი საჭიროა მათი უსაფრთხო პატიმრობისთვის.“ 51.4 მუხლის თანახმად, „ყოველი პატიმარი უნდა იმყოფებოდეს უსაფრთხოების იმგვარ პირობებში, რომლებიც შეესაბამება რისკის სათანადო დონეს.“ 51.5 მუხლის თანახმად, „საჭირო უსაფრთხოების დონე უნდა გადაისინჯოს რეგულარული ინტერვალებით პირის პატიმრობის მთელი ვადის განმავლობაში.“

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 19 მაისის N35 ბრძანებით დამტკიცებული ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობისა და კონტროლის განხორციელების, ჩანაწერების შენახვის, წაშლისა და განადგურების წესის მე-4 მუხლის მიხედვით, მეთვალყურეობისა და კონტროლის განხორციელების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს დაწესებულების დირექტორი, რის თაობაზეც გამოსცემს შესაბამის ბრძანებას. მინისტრის ბრძანების მე-3 მუხლის თანახმად, ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობისა და კონტროლის განხორციელების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება იმ შემთხვევაში, თუ სხვა საშუალებების გამოყენება არაეფექტიანია. მიღებული გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული და მიზნის პროპორციული. შესაბამისად, ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობისა და კონტროლის განხორციელების შესახებ დაწესებულების დირექტორის ბრძანებაში ნათლად უნდა ჩანდეს ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობისა და კონტროლის განხორციელების უალტერნატივობა. მიუხედავად ამისა, მონიტორინგის შედეგები ცხადყოფს, რომ დამკვიდრებული პრაქტიკით ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობის შესახებ დაწესებულების დირექტორის ბრძანება შეიცავს მწირ ინფორმაციას და შაბლონური ხასიათისაა.

2015 წლის 5-7 მაისს სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ N3 დაწესებულებაში განხორციელებული შემოწმების შედეგად გაირკვა, რომ დაწესებულებაში ელექტრონული მეთვალყურეობის გამოყენების პროპორციულობის მხრივ მნიშვნელოვანი პრობლემები იყო. კერძოდ, სათვალთვალო კამერებით აღჭურვილი იყო ყველა სამართლო საკანი²⁴, ყველა უსაფრთხო ოთახი²⁵, სამედიცინო ნაწილში არსებული ყველა საკანი²⁶ და 4 საერთო საცხოვრებელი საკანი²⁷. შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ

²³ წამების, არაადამიანური დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის ევროპული კომიტეტი (CPT), კომიტეტის ვიზიტი უკრაინაში 1-10 დეკემბერი 2012 წელი, პარაგრაფი 52, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე: <http://www.cpt.coe.int/documents/ukr/2013-23-inf-eng.htm> [ბოლოს ნანახია 10.09.2016].

²⁴ დაწესებულებას გააჩნია 4 სამართლო საკანი.

²⁵ დაწესებულებას გააჩნია 4 უსაფრთხო ოთახი, რომელიც გამოიყენება პატიმართა იზოლირების მიზნით

²⁶ დაწესებულების სამედიცინო ნაწილს გააჩნია 3 საკანი.

სამედიცინო ჩვენებით საჭირო იყო პატიმრის სამედიცინო პუნქტის საკანში გადაყვანა, დაწესებულების დირექტორი შაბლონურად გამოსცემდა ბრძანებას პატიმრის მიმართ ელექტრონული მეთვალყურეობის დაწესების შესახებ, მიუხედავად იმისა, არსებობდა თუ არა მეთვალყურეობის განხორციელების აუცილებლობა. შაბლონურ ხასიათს ატარებდა ელექტრონული მეთვალყურეობის გამოყენების შესახებ შუამდგომლობებიც.

ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, საქართველოს სახალხო დამცველმა შემდეგი რეკომენდაციებით²⁸ მიმართა საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს:

1. მიიღოს ყველა გონივრული ზომა, რათა ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობა განხორციელდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სხვა ზომები არაეფექტიანია და იმ ხანგრძლივობით, რაც მკაცრად აუცილებელია კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით. ამასთან, უზრუნველყოფილი იქნას ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობის შესახებ გადაწყვეტილების სათანადო დასაბუთება;
2. მოხდეს სამართლო საკნებში და სამედიცინო ნაწილის ზოგ საკანში ელექტრონული მეთვალყურეობის სისტემების დემონტაჟი, რათა შესაძლებელი გახდეს მათში პატიმრების მოთავსება მეთვალყურეობის დაწესების გარეშე, თუ არ არსებობს ამის აუცილებლობა.

ზემოაღნიშნული რეკომენდაციები შესრულებული არ არის. 2016 წლის 23-25 მაისს და 2017 წლის 2-4 თებერვალს განხორციელებული ვიზიტების დროს, სათვალთვალო კამერა დამონტაჟებული იყო ყველა სამართლო საკანსა და სამედიცინო საკანში. დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად ასევე გაირკვა, რომ ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობის განხორციელების შესახებ დირექტორის ბრძანებები და უსაფრთხოების განყოფილების შუამდგომლობები, რომლებიც საფუძვლად დაედო დირექტორის ბრძანებებს, კვლავ შაბლონური ხასიათის იყო.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2016 წელს N3 პენიტენციურ დაწესებულებაში ელექტრონული/ვიზუალური საშუალებით მეთვალყურეობა და კონტროლი განხორციელდა 129 პატიმრის მიმართ. მათ შორის ერთიდაიგივე პატიმრის მიმართ განხორციელდა რამდენჯერმე. სულ ელექტრონული/ვიზუალური საშუალებით მეთვალყურეობა და კონტროლი განხორციელდა 257-ჯერ.

პატიმრობის კოდექსის 57-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად,

²⁷ აქედან მხოლოდ 1 გამოიყენება მოშიშმილე პატიმრების გადასაყვანად, ხოლო 3 – პატიმართა იზოლირების მიზნით.

²⁸ იხილეთ პრევენციის ეროვნული მექანიზმი ანგარიში სასჯელაღსრულების N3 დაწესებულებაში ვიზიტის შესახებ (2015 წლის 7-9 მაისი), გვ.16, შემდეგ მისამართზე: <http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3290.pdf> [ბოლოს ნანახია 20.07.2017]

„ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიერ საკუთარი თავის, გარშემომყოფთა და ქონების დაზიანების თავიდან აცილების, დაწესებულებაში დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევის აღკვეთის, ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიერ სისტემის ორგანოს მოსამსახურის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის, თავდასხმის მოგერიების, ჯგუფური დაუმორჩილებლობის ან/და მასობრივი არეულობის აღკვეთის მიზნით, ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიმართ შეიძლება გატარდეს შემდეგი უსაფრთხოების ღონისძიებები: ა) სპეციალური საშუალებების გამოყენება; ბ) სხვა ბრალდებულთაგან/მსჯავრდებულთაგან მისი განცალკევება; გ) დროებით სხვა პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში გადაყვანა; დ) არაუმეტეს 24 საათით სამარტოო საკანში მოთავსება.“

ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, „უსაფრთხოების ღონისძიების განხორციელება წყდება დაუყოვნებლივ, იმ საფრთხის აღმოფხვრისთანავე, რომლის აღსაკვეთადაც ეს ღონისძიება გამოიყენებოდა.“

ამავე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, „დაუშვებელია უსაფრთხოების ღონისძიების ბრალდებულის/მსჯავრდებულის დასჯის მიზნით გამოყენება.“

პატიმრობის კოდექსის 57¹ მუხლის მიხედვით, ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს შემდეგი სპეციალური საშუალებები: ხელბორკილი, დამაწყნარებელი პერანგი, დამაწყნარებელი სკამი, დამაწყნარებელი საწოლი, რეზინის ხელკეტი, ცრემლსადენი გაზი, წიწაკის გაზი, არალეტალური იარაღი, აკუსტიკური საშუალება, ფსიქოლოგიური ზემოქმედების შუქბგერითი მოწყობილობა, წყალსატყორცნი, სასამსახურო ძაღლი. განხორციელებული ვიზიტების დროს გაირკვა, რომ N3 დაწესებულებაში სპეციალური საშუალებებიდან გამოიყენება მხოლოდ ხელბორკილი, რომელიც 2016 წლის განმავლობაში 82 შემთხვევაში იქნა გამოყენებული.

აღსანიშნავია, რომ N3 პენიტენციური დაწესებულების დებულება უშვებდა დასაბუთების გარეშე, ხელბორკილების რუტინულ გამოყენებას. კერძოდ, დადგენილი იყო, რომ დღის განმავლობაში, მსჯავრდებულის საკნიდან გამოყვანა და დაწესებულებაში გადაადგილება დანიშნულების ადგილზე მიყვანამდე, შესაძლებელი იყო მხოლოდ ხელბორკილის გამოყენებით. სახალხო დამცველის რეკომენდაციის შესაბამისად, 2017 წლის 25 იანვარს დებულებაში განხორციელდა ცვლილება, რომლის მიხედვითაც, შეიცვალა ზემოხსენებული ნორმა და განისაზღვრა, რომ ხელბორკილების გამოყენება დასაშვებია, თუ მსჯავრდებული თავისი ქმედებით წინააღმდეგობას უწევს სპეციალური პენიტენციური სამსახურის მოსამსახურეს ან/და არ ემორჩილება მის კანონიერ მოთხოვნას, ასევე თუ საფრთხეს უქმნის საკუთარ ან/და სხვის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას, აზიანებს ან ცდილობს დააზიანოს სხვისი/სახელმწიფო ქონება, ცდილობს გაქცევას, ან/და თუ არსებობს ამ პუნქტით გათვალისწინებული გარემოების დადგომის გონივრული ეჭვი. მითითებულ ცვლილებას საქართველოს სახალხო დამცველი მიესალმება და დადებითად აფასებს.

უსაფრთხოების უზრუნველყოფის მისაღწევად ერთ-ერთ ყველაზე კარგ საშუალებას „დინამიკური უსაფრთხოების“ კონცეფციის პრაქტიკაში განხორციელება წარმოადგენს. დინამიკური უსაფრთხოების კონცეფცია ითვალისწინებს დაწესებულების პერსონალსა და პატიმართა შორის პოზიტიური ურთიერთობის უზრუნველყოფას სამართლიანი მოპყრობის პირობებში, ასევე რესოციალიზაციისა და საზოგადოებაში სამომავლო ინტეგრაციისკენ მიმართული აქტივობების არსებობას. პენიტენციური დაწესებულების პერსონალს გააზრებული უნდა ჰქონდეს, რომ პატიმრებთან ჰუმანური და სამართლიანი მოპყრობა ხელს უწყობს დაწესებულებაში მართლწესრიგისა და უსაფრთხოების შენარჩუნებას.²⁹

პატიმართა კონტროლი ასევე მოიცავს სტატიკური უსაფრთხოების ელემენტებს, როგორცაა უსაფრთხოების სათანადო ინფრასტრუქტურა და აღჭურვილობა, ასევე ინციდენტების მართვა და საჭიროების შემთხვევაში ძალის გამოყენება.³⁰ თუმცა, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ გაეროს სამართალდამცავ ორგანოთა ქცევის კოდექსის მიხედვით, სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებს ძალის გამოყენება შეუძლიათ მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში და იმ ზომით, რაც აუცილებელია მათი მოვალეობის შესასრულებლად.³¹

შემოწმების შედეგად სპეციალური პრევენციული ჯგუფი მივიდა დასკვნამდე, რომ N3 დაწესებულების ადმინისტრაცია ძირითადად ეყრდნობა ე.წ. „სტატიკური უსაფრთხოების“ ელემენტებს (განცალკევება, ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობა), რაც ვერ უზრუნველყოფს დაწესებულებაში ადამიანის უფლებების პატივისცემის პირობებში უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის მიზნის მიღწევას. ამდენად, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ პატიმრები დღე-ღამეში 23 საათს საკანში ატარებენ, დაწესებულებაში არ არსებობს სათანადო დეესკალაციის სტრატეგია, სარეაბილიტაციო და ფსიქოლოგიური სერვისები, დაწესებულებაში რჩება თვითდაზიანების, ძალადობისა და აგრესიის გამოვლენის მაღალი რისკი, ხოლო თანამშრომლების მხრიდან პატიმრების მიმართ აგრესიული დამოკიდებულება, მათ მიმართ არასათანადო მოპყრობის რეალურ საფრთხეს ქმნის.

რეკომენდაციები სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს:

- ❖ მიიღოს ყველა გონივრული ზომა, რათა ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობა განხორციელდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სხვა ზომები არაეფექტურია და იმ ხანგრძლივობით, რაც მკაცრად აუცილებელია

²⁹ United Nations, Prison Incident Management Handbook, 2013, p. 21-22. ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე: < http://www.un.org/en/peacekeeping/publications/cljas/handbook_pim.pdf >

³⁰ იქვე, გვ. 13

³¹ UN General Assembly, Code of conduct for law enforcement officials, 5 February 1980, A/RES/34/169, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე: <http://www.refworld.org/docid/48abd572e.html>

კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით; ამასთან, უზრუნველყოფილი იყოს ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობის შესახებ გადაწყვეტილების სათანადო დასაბუთება;

- ❖ მოხდეს სამართლო საკნების და სამედიცინო პალატების ნაწილში ელექტრონული მეთვალყურეობის სისტემების დემონტაჟი, რათა შესაძლებელი გახდეს მათში პატიმრების მოთავსება მეთვალყურეობის დაწესების გარეშე, თუ არ არსებობს ამის აუცილებლობა;
- ❖ შევიდეს შესაბამისი ცვლილება N3 პენიტენციური დაწესებულების დებულებაში და განისაზღვროს დეესკალაციის ოთახში მოთავსების მაქსიმალური ვადა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 24 საათს და უზრუნველყოფილი იქნას მუსლტიდისციპლინური ჯგუფის მუშაობა სიტუაციის შემდგომი დეესკალაციის მიზნით;
- ❖ შეისწავლოს N3 დაწესებულების უსაფრთხოების განყოფილების მუშაობის პრაქტიკა და მიიღოს ყველა შესაბამისი ზომა დაწესებულებაში უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, მათ შორის, დაწესებულების თანამშრომელთა სათანადო სწავლებისა და ძალადობის რისკ ფაქტორების იდენტიფიცირების შესაძლებლობის გაძლიერების გზით;
- ❖ მიიღოს შესაბამისი ზომები დინამიკური უსაფრთხოების პრაქტიკაში განხორციელების უზრუნველსაყოფად.

5. პატიმრობის პირობები

5.1. ფიზიკური გარემო, სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობა

ევროპული ციხის წესების თანახმად, ყველა შენობაში, სადაც პატიმრები ცხოვრობენ, მუშაობენ ან იკრიბებიან ფანჯრები უნდა იყოს საკმარისად დიდი, რათა საშუალება მისცეს პატიმრებს იკითხონ ან იმუშაონ ბუნებრივი განათებისას ნორმალურ პირობებში; ასევე უზრუნველყოფილი უნდა იყოს სუფთა ჰაერის მოძრაობა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა არსებობს ჰაერის კონდიცირების სისტემა; ხელოვნური განათება უნდა აკმაყოფილებდეს მიღებულ ტექნიკურ სტანდარტებს; უნდა არსებობდეს სიგნალიზაციის სისტემა, რომელიც საშუალებას მისცემს პატიმრებს დაუყოვნებლივ დაუკავშირდნენ პერსონალს.³² პატიმრობის კოდექსის მე-15 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ბრალდებულის/მსჯავრდებულის საცხოვრებელს უნდა ჰქონდეს ფანჯარა, რომელიც უზრუნველყოფს ბუნებრივ განათებას. ბრალდებულის/მსჯავრდებულის საცხოვრებელი უზრუნველყოფილი უნდა იყოს ბუნებრივი ან/და ხელოვნური ვენტილაციით.

³² წესი 18.2.

დაწესებულების საცხოვრებელ საკნებში არსებული ფართი ვიზიტის დროს³³ სრულად შესაბამებოდა საქართველოს „პატიმრობის კოდექსის“ მე-15 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად დადგენილ მოთხოვნას.³⁴

საცხოვრებელ საკნებში არ არის სათანადო ბუნებრივი განათება და ვენტილაცია.³⁵ საკნების ხელოვნური განათება დამაკმაყოფილებელია. საკნებს აქვს მცირე ზომის ფანჯრები, რომლებიც საკმაოდ მაღლაა, კედელი დაახლოებით ნახევარი მეტრის სისქისაა, შესაბამისად, მზის სხივი საკანში დაუბრკოლებლად ვერ აღწევს. საკნებში არის იზოლირებული, დაახლოებით 1.8 მ² ფართობის სანიტარიულ-ჰიგიენური კვანძი, სადაც მზაპის მიღებაც არის შესაძლებელი; საკნებში არ არის ჭურჭლის შესანახი კარადები, თაროები და საკიდები. საკნებში არსებული იატაკი არის ბეტონის (ცივი), რაც შეიძლება ცუდად აისახოს პატიმართა ჯანმრთელობაზე.

2016 წლის 23-25 მაისს დაწესებულებაში განხორციელებული მონიტორინგის დროისთვის პირველ სართულზე არსებული საკნები³⁶ იყო ნესტიანი და საჭიროებდა სარემონტო სამუშაოების ჩატარებას. დაწესებულების საცხოვრებელ საკნებში არსებულ ორ იარუსიან რკინის საწოლებს ჰქონდათ კიბე მეორე იარუსზე ასასვლელად, რაც შემდგომ გადაკეთდა და 2017 წლის 2-4 თებერვალს, მონიტორინგის დროს, საცხოვრებელ საკნებში უკვე 1 იარუსიანი საწოლები იდგა.

N3 დაწესებულებიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად,³⁷ 2016 წლის განმავლობაში პატიმართა საცხოვრებელი კორპუსის პირველ სართულზე საკნები გადაკეთდა 1 ან 2 ადგილიან საკნებად, ისინი გათავისუფლდა ზედმეტი ინვენტარისგან, ჩატარდა სარემონტო სამუშაოები. შესაბამისად, დაწესებულებაში ბოლო³⁸ ვიზიტის მდგომარეობით, N3 დაწესებულებაში ყველა პატიმარი უზრუნველყოფილი იყო 4 მ² საცხოვრებელი ფართით.

დაწესებულებაში განხორციელებული ბოლო ვიზიტის დროს პატიმრები იმყოფებოდნენ საცხოვრებელი კორპუსის მეორე სართულზე განთავსებულ საკნებში, ხოლო პირველ სართულზე არსებულ საკნებში ახლად დასრულებული იყო კოსმეტიკური სარემონტო სამუშაოები და შრებოდა.

დაწესებულებაში არის 4 დეესკალაციის ოთახი და 4 სამართლო საკანი. დეესკალაციის ოთახში ბეტონის იატაკზე დევს თითო რბილი ლეიბი. არც დეესკალაციის და არც

³³ 2016 წლის 23-25 მაისი.

³⁴ „საქართველოს პატიმრობის კოდექსის“ მე-15 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „ერთ მსჯავრდებულზე საცხოვრებელი ფართობის ნორმა ყველა ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში არ უნდა იყოს 4 კვ. მეტრზე ნაკლები“.

³⁵ ხელოვნური ვენტილაცია არ არის ასევე დაწესებულების საგამომიებო ოთახებში.

³⁶ მათ შორის სამედიცინო ნაწილში განთავსებული 3 საკანი.

³⁷ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს, პენიტენციური დეპარტამენტის N3 დაწესებულების დირექტორის 2017 წლის 18 იანვრის MOC 717 00043478 წერილის თანახმად.

³⁸ 2017 წლის 2-4 თებერვალი.

სამართლო საკნებში არსებული ფანჯრები³⁹ არ იღება. შესაბამისად, აღნიშნულ საკანში მყოფი პატიმრისთვის ბუნებრივი ვენტილაცია ხელმისაწვდომი არაა. საკნები არასათანადოდ ნიავედება მხოლოდ ხელოვნური ვენტილაციის საშუალებით. სამართლო საკნებსა და დეესკალაციის ოთახებში არსებული სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა არაა დამაკმაყოფილებელია.

დეესკალაციის ოთახებში სასმელი წყლის მიწოდება პრობლემებთანაა დაკავშირებული. ხელსაბანს არ აქვს ონკანი. წყალი მოედინება დაბალ სიმაღლეზე და ცოტა ოდენობით. ამის გამო შეუძლებელია წყლის გავსება სუფთად, ასევე, შეუძლებელია პირადი ჰიგიენის დაცვა. არაა დამაკმაყოფილებელი სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის გამო პატიმრები ვერ ახერხებენ საჭმელის ჭამასაც. დეესკალაციის ოთახებში არსებული ხელსაბანის მოწყობის გამო, შეუძლებელია ჭურჭლის გარეცხვა. დეესკალაციის ოთახებში განათება, ვენტილაცია და წყლის მიწოდება რეგულირდება საკნის გარეთა მხრიდან, დაწესებულების თანამშრომლების მიერ. წყალი ღამის საათებში წყდება. დეესკალაციის ოთახში ყოფნისას პატიმრებს ეკრძალებათ მაღაზიით სარგებლობა, აღნიშნულ ოთახებში მყოფ პირებს არ მიეწოდებათ გამოსაცვლელი ტანსაცმელი, პირადი ჰიგიენის ნივთები და თეთრეული.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 19 მაისის ბრძანებით დამტკიცებული პენიტენციურ დაწესებულებებში ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობისა და კონტროლის განხორციელების, ჩანაწერების შენახვის, წაშლისა და განადგურების წესის მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, „ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ელექტრონული მეთვალყურეობა და კონტროლი არ შეიძლება განხორციელდეს დაწესებულებაში არსებულ საერთო სარგებლობის საშხაპეებში, საერთო სარგებლობის საპირფარეოებში და ხანგრძლივი პაემებისათვის განკუთვნილ ოთახებში, გარდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და საქართველოს კანონით გათვალისწინებული შემთხვევისა.“

აღნიშნულ დათქმასთან დაკავშირებით, საქართველოს სახალხო დამცველმა ჯერ კიდევ 2014 წლის 19 დეკემბერს წინადადებით მიმართა საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს, რომ იმ ადგილების ჩამონათვალს, სადაც არ შეიძლება განხორციელდეს მეთვალყურეობა, დამატებოდა საკანში არსებული საპირფარეოები, თუმცა, მითითებული წინადადება მინისტრმა არ გაიზიარა.

წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი (CPT) სხვადასხვა ქვეყანაში განხორციელებული ვიზიტების შედეგების შესახებ ანგარიშებში ცალსახად აღნიშნავს, რომ ციხეებში მეთვალყურეობისა და კონტროლის განხორციელების პროცესში პატიმრების პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება დაცული უნდა იყოს

³⁹ სამართლო საკნებში და დეესკალაციის ოთახებში არსებულ ფანჯრებს არ აქვს სახელორი.

საპირფარეშობითა და საშხაპეებით სარგებლობის დროს.⁴⁰ ამავე კომიტეტის სტანდარტების თანახმად, ჰუმანური გარემოს არსებითი კომპონენტია სათანადო პირობებში საპირფარეშოზე იოლი ხელმისაწვდომობა და ჰიგიენის სათანადო სტანდარტების დაცვა.⁴¹

მონიტორინგის შედეგად გაირკვა, რომ სამარტოო და უსაფრთხო⁴² საკნებში სანიტარული კვანძი არ არის იზოლირებული. საკნებში დამონტაჟებულია ვიზუალური მეთვალყურეობის სისტემა (ვიდეოკამერები), რომლის არეალშიც ექცევა საპირფარეშოს სივრცე და უზრუნველყოფილი არ არის პატიმრის პრივატულობა.

დაწესებულების საცხოვრებელი კორპუსის მეორე სართულზე არის 1 საერთო საშხაპე ოთახი, რომლითაც სამარტოო და დეესკალაციის საკანში მყოფი პატიმრები სარგებლობენ. აღნიშნულ ოთახში არ არის ხელოვნური ვენტილაცია, პირსახოცების/ტანისამოსის საკიდები და სკამები. სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა არაადამაკმაყოფილებელია.

2015 წლის 7-9 მაისს N3 დაწესებულებაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგად, სახალხო დამცველმა რეკომენდაციით⁴³ მიმართა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს, უზრუნველყოთ საკნების სათანადო ბუნებრივი და ხელოვნური ვენტილაცია და განათება, გამართულიყო საკნებში არსებული სავენტილაციო სისტემა, სამარტოო საკნებში არსებული ფანჯრებისთვის დაემონტაჟებინათ სახელურები, უზრუნველყოთ სამარტოო საკანში ადამიანის ღირსებასთან შესაბამისი პირობები. საკნების განიავების პრობლემის აღმოფხვრის მიზნით, დაწესებულებაში არსებულ საცხოვრებელ საკნებში 2015 წელს დამონტაჟდა კონდიციონერები, რაც მისასაღმებელია, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სათანადო ვენტილაციის უზრუნველყოფის პრობლემის აღმოსაფხვრელად საჭიროა ცენტრალური სავენტილაციო (გამწოვი) სისტემის ფუნქციონირება. რაც შეეხება სხვა პრობლემებს, ისინი დღემდე არ აღმოფხვრილა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულებაში პრობლემურია საცხოვრებელ საკნებში არასაკმარისი ბუნებრივი განათება და ვენტილაცია, საკნებში ჭურჭლის შესანახი კარადების, თაროებისა და საკიდების არარსებობა; საკნებში არსებული ბეტონის (ცივი) იატაკი; პირველ სართულზე არსებულ საკნებში⁴⁴ სინესტე; დეესკალაციის ოთახებში არსებული არაადამაკმაყოფილებელი სანიტარულ-ჰიგიენური

⁴⁰ იხილეთ: <http://www.cpt.coe.int/documents/hun/2010-16-inf-eng.pdf> იხილეთ გვ. 19, პარ. 31, ასევე, <http://www.cpt.coe.int/documents/ita/2013-32-inf-eng.pdf> გვ. 30, პარ. 60 [ბოლოს ნანახია 10.09.2016]

⁴¹ გვ.25, პარ. 49

⁴² ამჟამად დეესკალაციის ოთახები.

⁴³ იხილეთ, სასჯელაღსრულების N3 დაწესებულებაში ვიზიტის შესახებ ანგარიში (2015 წლის 7-9 მაისი), გვერდი 17; ხელმისაწვდომია შემდეგ ელ. მისამართზე < <http://www.ombudsman.ge/ge/reports/specialuri-angarishebi/angarishi-sasdjelagsrulebis-n3-dawesebulebashi-vizitis-shesaxe-2015-wlis-7-9-maisi.page> >

⁴⁴ მათ შორის სამედიცინო ნაწილში განთავსებული 3 საკანი.

მდგომარეობა; სამარტოო და დეესკალაციის საკნებში სანიტარული კვანძის მეთვალყურეობის არეალში მოქცევა; საშხაპე ოთახში ხელოვნური ვენტილაციის და საკიდების არარსებობა; წყლის გრაფიკით მიწოდების საკითხი; უსაფრთხო და სამარტოო საკნებში მყოფი პატიმრების ტანისამოსით და პირადი ჰიგიენის ნივთებით მომარაგების პრობლემა; აღნიშნულ საკნებში ფანჯრების გაღების შეუძლებლობა.

რეკომენდაციები სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს:

- ❖ უზრუნველყოფილ იქნეს საკნების ბუნებრივი ვენტილაცია და განათება;
- ❖ ბუნებრივი ვენტილაციის მიზნით, დაწესებულების სამარტოო საკნებში და დეესკალაციის ოთახებში არსებულ ფანჯრებს დაუმონტაჟდეს სახელურები, რათა იქ მყოფმა პატიმარმა მისი სურვილის მიხედვით გააღოს და დახუროს ფანჯარა;
- ❖ გაიმართოს საკნებში არსებული სავენტილაციო სისტემის ფუნქციონირება;
- ❖ მიიღოს ყველა საჭირო ზომა საცხოვრებელი საკნების სათანადო ინვენტარით უზრუნველსაყოფად (ჭურჭლის შესანახი კარადა, თაროები და საკიდები);
- ❖ მიიღოს ყველა საჭირო ზომა დაწესებულებაში არსებული საშხაპე ოთახის ხელოვნური ვენტილაციით და საკიდებით უზრუნველსაყოფად;
- ❖ მიიღოს ყველა საჭირო ზომა დეესკალაციის ოთახებში, სამარტოო საკნებსა და საერთო სარგებლობის საშხაპეში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დასაცავად;
- ❖ სამარტოო საკნებში და დეესკალაციის ოთახებში ვიზუალური მეთვალყურეობის კამერები დამონტაჟდეს იმგვარად, რომ იქ არსებული საპირფარეშოები არ ხვდებოდეს ვიზუალური მეთვალყურეობის არეში;
- ❖ მიიღოს ყველა საჭირო ზომა, დეესკალაციის ოთახებსა და სამარტოო საკნებში მყოფი პატიმრების ტანისამოსით, თეთრეულით და პირადი ჰიგიენის ნივთებით უზრუნველსაყოფად.

5.2. დღის განრიგი და სარეაბილიტაციო აქტივობები

ციხის ევროპული წესების თანახმად, რეჟიმმა მისჯილი პატიმრებისათვის არ უნდა დაამძიმოს პატიმრობით თავისთავად გამოწვეული ტანჯვა.⁴⁵

N3 დაწესებულება პატიმრობისა და განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაა,⁴⁶ სადაც პატიმრები 23 საათს ატარებენ საკნებში და მხოლოდ 1 საათის განმავლობაში იმყოფებიან სასეირნო ეზოებში. დაწესებულებაში ფუნქციონირებს 9 სასეირნო ეზო. კენტი ნუმერაციის მქონე თითოეული სასეირნო ეზოს ფართობი

⁴⁵ წესი 102.2

⁴⁶ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს N106 ბრძანება „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციური დაწესებულებების შესახებ“.

შეადგენს დაახლოებით 37 მ²-ს, ხოლო ლუწი ნუმერაციის ეზოების - დაახლოებით 26 მ²-ს. ეზოები ზემოდან ნაწილობრივ გადახურულია, შიგნით არის ხელოვნური განათება, დგას ხის გრძელი სკამები, ურნები და თითო სავარჯიშო ტურნიკი. სასეირნო ეზოებში დამონტაჟებულია სათვალთვალო კამერები. ეზოებში არსებული მდგომარეობა არ იძლევა სათანადო ფიზიკური დატვირთვის შესაძლებლობას, რაც შეიძლება მიმდებარე აისახოს პატიმრების ჯანმრთელობაზე. შესაბამისად, აუცილებელია, დაწესებულებაში შეიქმნას სუფთა ჰაერზე ყოფნისა და ვარჯიშის სათანადო პირობები და ამასთანავე, გაიზარდოს ყოველდღიურად სუფთა ჰაერზე ყოფნის ხანგრძლივობა.

ასევე მნიშვნელოვანია, თუნდაც დაწესებულების შეზღუდული შესაძლებლობის პირობებში, ხელი შეეწყოს ინდივიდუალურ სპორტულ აქტივობებს. მაგალითად, თხოვნის შემთხვევაში დამატებით მოხდეს პატიმრის გაყვანა სასეირნო ეზოში, სადაც ის შეძლებს ინდივიდუალურად ვარჯიშს. ამ მიზნით, უსაფრთხოების დაცვის ინტერესების გათვალისწინებით, შესაძლებელია სასეირნო ეზოში სპორტული აღჭურვილობის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

სახალხო დამცველმა თავის არაერთ ანგარიშში აღნიშნა, რომ პენიტენციურ დაწესებულებაში არსებული პირობები უნდა უზრუნველყოფდეს პატიმრის რესოციალიზაციასა და რეინტეგრაციას საზოგადოებაში. მსჯავრდებულმა სასჯელის მოხდის პერიოდში უნდა მიიღოს ან გაიღრმავოს მისთვის სასურველი და ხელმისაწვდომი განათლება და უნარ-ჩვევები, მიეცეს საშუალება მონაწილეობდეს სპორტულ, სახელოვნებო, ინტელექტუალურ, თუ სხვა სახის ღონისძიებებში. რესოციალიზაციის პროცესი კომპლექსურ მიდგომას მოითხოვს, რაც გულისხმობს კარგად გააზრებული სამოქმედო გეგმის შემუშავებას, რომელიც ზოგადი ხასიათის ღონისძიებების გატარებასთან ერთად, ინდივიდუალურ მიდგომასაც ითვალისწინებს.

ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის შენარჩუნების მიზნით დაწესებულებაში პატიმრები უზრუნველყოფილნი უნდა იყვნენ დასვენებისა და კულტურული საქმიანობის შესაძლებლობით⁴⁷. სასჯელადსრულების ყოველი დაწესებულება უნდა ცდილობდეს, პატიმრები უზრუნველყოს შეძლებისდაგვარად მრავალმხრივი საგანმანათლებლო პროგრამების ხელმისაწვდომობით, რომლებიც უპასუხებს პატიმართა ინდივიდუალურ საჭიროებებს მათი მისწრაფებების გათვალისწინებით.⁴⁸ სოციალური სამუშაო, სამედიცინო და ფსიქოლოგიური დახმარება წარმოადგენს მთლიანი გეგმის განუყოფელ ნაწილს, რომელიც შემუშავებულია თითოეული პატიმრისათვის.⁴⁹

2016 წელს N3 დაწესებულებაში სულ 8 სარეაბილიტაციო აქტივობა ჩატარდა, მათ შორის, შემდეგი კურსები: სასტუმრო საქმის მწარმოებელი, გიდი (ტურიზმი), ინფორმაციული

⁴⁷ ნელსონ მანდელას წესები, წესი 105

⁴⁸ ევროპული ციხის წესები, წესი 28.1

⁴⁹ ევროპული ციხის წესები, წესი 103.5

ტექნოლოგიების მხარდაჭერის სპეციალისტი, კომპიუტერული გრაფიკა, ვებსპეციალისტი, მცირე ბიზნესის მწარმოებელი, მართვის მოწმობის თეორიული კურსი და ვებდიზაინი. აღნიშნულ პროგრამებში მონაწილეობა მიიღო 4 მსჯავრდებულმა.⁵⁰

განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში უმნიშვნელოვანესია მრავალმხრივი და პატიმართა ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული მრავალფეროვანი სარეაბილიტაციო პროგრამები. როგორც ზემოთ მოცემული ინფორმაციიდან ჩანს, ამ დაწესებულებებში მყოფი მსჯავრდებულების ჩართულობა სარეაბილიტაციო პროგრამებში ძალიან დაბალია, რაც დაწესებულებაში ქმნის არაჯანსაღ გარემოს და უარყოფითად აისახება პატიმრებსა და დაწესებულების თანამშრომლებს შორის არსებულ ურთიერთობაზე, ასევე დაწესებულებაში წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფაზე; სარეაბილიტაციო პროგრამების გარეშე ვერ მიიღწევა მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის და დანაშაულის განმეორებით ჩადენის პრევენციის მიზნები.

სოციალური განყოფილების თანამშრომლის განმარტებით, 2016 წლის თებერვლში პატიმრებს დაურიგდათ კითხვარი, სადაც შემოთავაზებული და ჩამოთვლილი იყო საგანმანათლებლო პროგრამები, სპორტული აქტივობები და ინტელექტუალურ შემეცნებითი ღონისძიებები.⁵¹ მისი განმარტებით, აღნიშნულ პროგრამებში მონაწილეობის სურვილი მხოლოდ 18 პატიმარმა გამოხატა. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სახალხო დამცველის სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ პატიმართა გამოკითხვის დროს გაცილებით მეტმა პატიმარმა გამოთქვა სხვადასხვა სახის სარეაბილიტაციო აქტივობებში ჩართვის სურვილი.

დაწესებულების ფსიქოლოგის განმარტებით, დაწესებულებაში არ არსებობს სივრცე, სადაც შესაძლებელი იქნებოდა მსჯავრდებულთან მშვიდ და უსაფრთხო გარემოში მუშაობა.

დაწესებულებაში განხორციელებული არც პირველი და არც ბოლო ვიზიტისთვის არ არსებობდა სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვის პროგრამა, სადაც მულტიდისციპლინარული გუნდი იმუშავებდა კონკრეტული მსჯავრდებულის საჭიროებების გათვალისწინებით. პატიმართა გადმოცემით, დაწესებულების სოციალური სამსახურის თანამშრომელი პატიმრებთან საკანში არ შედის და მათ ესაუბრება ე.წ. საკვებურიდან, გარდა ამისა, მას ახლავს დაწესებულების უსაფრთხოების ან რეჟიმის თანამშრომელი. აღნიშნული არღვევს მათი საუბრის კონფიდენციალურობას.

ნელსონ მანდელას წესების თანახმად, ყოველ დაწესებულებაში უნდა არსებობდეს ბიბლიოთეკა, რომელიც დააკმაყოფილებს ყოველი კატეგორიის პატიმრის მოთხოვნებს.

⁵⁰ 2017 წლის 18 იანვარს N3 დაწესებულებიდან გამოგზავნილი MOC 7 1700043478 პასუხი.
⁵¹ეს პროგრამებია: კომპიუტერული საოფისე პროგრამა -9 მსჯავრდებულის, ინფორმაციული ტექნოლოგიები- 2 მსჯავრდებულის, სასტუმრო საქმის მწარმოებელი- 4 მსჯავრდებულის, გიდის პროფესიული პროგრამა- 3 მსჯავრდებულის.

ის უნდა იყოს ადეკვატურად მომარაგებული, როგორც მხატვრული, ისე სპეციალური ლიტერატურით, პატიმრებს უნდა მოუწოდონ ბიბლიოთეკით სარგებლობისაკენ.⁵² პატიმრებს უნდა ჰქონდეთ იმის საშუალება, რომ რეგულარულად გაეცნონ ახალი ამბების ყველაზე მნიშვნელოვან სეგმენტს, გაზეთების, პერიოდული ან სპეციალური საუწყებო პუბლიკაციების, რადიოს, ლექციების ან სხვა ისეთი საშუალებებით, რომლებიც ნებადართული და კონტროლირებადია ადმინისტრაციის მიერ.⁵³

აღსანიშნავია, რომ N3 დაწესებულებაში ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა, სადაც ქართულთან ერთად შესაძლებელია რუსული, თურქული და სპარსული წიგნების მოპოვება. სამწუხაროდ, ბიბლიოთეკაში არ არის თანამედროვე წიგნები. დაწესებულების ბიბლიოთეკაში მხოლოდ ჟურნალ „ბათუმელების“ ძველი ნომრების მარაგია. სხვა ჟურნალ-გაზეთები დაწესებულებაში არ შედის. დაწესებულებაში ბოლო ვიზიტის დროს, შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ ჟურნალ-გაზეთები არც მაღაზიაში იყიდება.

სპეციალური პრევენციული ჯგუფის შეფასებით, N3 დაწესებულებაში პატიმრებს არ გააჩნიათ შესაძლებლობა დაკავდნენ რაიმე ღირებული, მათთვის საინტერესო საქმიანობით. ამგვარი მდგომარეობა დაწესებულებაში ქმნის არაჯანსაღ, სტრესულ გარემოს, რაც უარყოფითად აისახება პატიმრებსა და დაწესებულების თანამშრომლებს შორის არსებულ ურთიერთობაზე, ასევე დაწესებულებაში წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფაზე.

აუცილებელია პატიმრებს, სულ მცირე, საკანში მიეცეთ შესაძლებლობა დაკავდნენ რაიმე მათთვის საინტერესო, სახელოვნებო, შრომითი, შემეცნებითი და სხვა საქმიანობით.

2015 წლის 7-9 მაისს N3 დაწესებულებაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგად, სახალხო დამცველმა რეკომენდაციით⁵⁴ მიმართა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს, მიეღო ყველა საჭირო ზომა დაწესებულების სოციალური განყოფილების მატერიალურ-ტექნიკური რესურსით უზრუნველსაყოფად, რათა დაწესებულებაში განხორციელებულიყო სარეაბილიტაციო ღონისძიებები. გარდა ამისა, სახალხო დამცველმა დაწესებულების დირექტორსაც მიმართა რეკომენდაციით, მიეღო ყველა საჭირო ზომა, რათა მაქსიმალურად შეწყობოდა ხელი დაწესებულების სოციალურ განყოფილებას დაეგემა და პატიმრების მონაწილეობით ჩატარებინა სხვადასხვა ღონისძიებები; მიეღო ყველა საჭირო ზომა დაწესებულების ბიბლიოთეკის განახლების უზრუნველსაყოფად; პერიოდულად განხორციელებულიყო ბიბლიოთეკის მომარაგება პრესით.

სამწუხაროდ, ზემოთ ხსენებული რეკომენდაციები არ შესრულებულა.

⁵² წესი 64

⁵³ იხ. იქვე, წესი 63

⁵⁴ იხილეთ, სასჯელაღსრულების N3 დაწესებულებაში ვიზიტის შესახებ ანგარიში (2015 წლის 7-9 მაისი), ხელმისაწვდომია შემდეგ ვებ-მისამართზე < <http://www.ombudsman.ge/ge/reports/specialuri-angarishebi/angarishi-sasdjelagsrulebis-n3-dawesebulebashi-vizitis-shesaxe-2015-wlis-7-9-maisi.page> >

დასაქმება

ევროპული ციხის წესების თანახმად, „სასჯელადსრულების დაწესებულებაში პატიმრის მუშაობა უნდა აღიქმებოდეს, როგორც ციხის რეჟიმის პოზიტიური ელემენტი და არასდროს არ უნდა იქნეს სასჯელის სახით გამოყენებული.“⁵⁵ „ციხის ხელმძღვანელობა უნდა ცდილობდეს სასარგებლო ხასიათის საკმარისი სამუშაოთი პატიმრების უზრუნველყოფას.“⁵⁶ „პატიმრისათვის განკუთვნილი სამუშაო უნდა იყოს შეძლებისდაგვარად იმგვარი, რომ უნარჩუნებდეს ან ავითარებდეს პატიმრის მიერ გათავისუფლების შემდგომ თავის რჩენის უნარს.“⁵⁷

N3 დაწესებულებაში სამეურნეო სამსახურში ჩარიცხულ მსჯავრდებულებს უწევთ ისეთი სამუშაოების შესრულება, როგორცაა ამანათის მიტანა, საკვების პატიმრებისთვის დარიგება, რეცხვა, დაწესებულების ტერიტორიაზე განთავსებული მაღაზიიდან საკვები პროდუქტებისა და დამატებითი მოხმარების საგნების მიწოდება და დალაგება-დასუფთავება. დასაქმებულ მსჯავრდებულებს შესრულებული სამუშაო უნაზღაურდებათ ხელფასის სახით, რომლის ოდენობა მათი პოზიციის შესაბამისად განისაზღვრება. კერძოდ, ჯგუფის უფროსის ხელფასია – 200 ლარი, უფროსის მოადგილის - 180 ლარი, ხოლო მომსახურე პერსონალის - 160 ლარი.

პენიტენციურ დაწესებულებებში მსჯავრდებულთა სამეურნეო სამსახურში ჩარიცხვა რეგულირდება „მსჯავრდებულის მიერ სამეურნეო სამუშაოების შესრულების და მისთვის ანაზღაურების მიცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სასჯელადსრულებისა და პრობაციის მინისტრის N157 ბრძანების საფუძველზე. აღნიშნული ბრძანების თანახმად, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში სამეურნეო სამუშაოების შესასრულებლად მსჯავრდებულის ჩარიცხვა მსჯავრდებულის წერილობითი განცხადების საფუძველზე ფორმდება დაწესებულების დირექტორის ბრძანებით.⁵⁸ დაწესებულების დირექტორის ბრძანება მსჯავრდებულის სამეურნეო სამუშაოების შესასრულებლად ჩარიცხვის შესახებ არ შეიცავს ისეთ მონაცემს, როგორცაა შესასრულებელი სამუშაოს სახე. აღნიშნული კი შრომის კოდექსის მე-6 მუხლში⁵⁹ გაწერილი და შრომითი ხელშეკრულების არსებით პირობას წარმოადგენს. შესასრულებელი სამუშაოს სახის განუსაზღვრელობა დასაქმებულ მსჯავრდებულებს დაწესებულებაში ისეთი სამუშაოს შესრულების საფრთხის წინაშე აყენებს, რაც მისთვის დასაქმებამდე უცნობი იყო.

⁵⁵ ციხის ევროპული წესები. წესი 26.1

⁵⁶ იქვე, წესი 26.2

⁵⁷ ციხის ევროპული წესები. წესი 26.3

⁵⁸ „მსჯავრდებულის მიერ სამეურნეო სამუშაოების შესრულების და მისთვის ანაზღაურების მიცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სასჯელადსრულებისა და პრობაციის მინისტრის N157-ე ბრძანება, დანართი 1, მუხლი 2, პუნქტი 4.

⁵⁹ მე-9 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი.

აუცილებელია, მსჯავრდებულის სამეურნეო სამსახურში ჩარიცხვის შესახებ ბრძანებაში ან თანდართულ დოკუმენტში გაიწეროს, კონკრეტულად რა საქმის შესასრულებლად ხდება მათი სამეურნეო სამსახურში ჩარიცხვა. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია შემუშავდეს ყველა დაწესებულებისათვის ერთიანი აღრიცხვის ფორმა, სადაც დაფიქსირდება სამეურნეო სამსახურში ჩარიცხული პირის მუშაობის გრაფიკი და მის მიერ საათობრივად შესრულებული სამუშაო. აღნიშნული ჟურნალის საფუძველზე შესაძლებელი გახდება დადგინდეს, თუ რამდენ საათს მუშაობს სამეურნეო სამსახურში ჩარიცხული თითოეული მსჯავრდებული, ასრულებენ თუ არა ისინი ზეგანაკვეთურ სამუშაოს და ანაზღაურდება თუ არა ზეგანაკვეთური შრომა.

რეკომენდაციები საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს:

- ❖ მიიღოს ყველა ზომა, რათა შესაძლებელი გახდეს პატიმრების ყოფნა სუფთა ჰაერზე დღის განმავლობაში ერთ საათზე მეტი ხნით;
- ❖ დაწესებულების ეზო იმგვარად მოეწყოს, რომ შესაძლებელი გახდეს ფიზიკური ვარჯიში; სასეირნო ეზოებში დამონტაჟდეს სავარჯიშო ინვენტარი;
- ❖ მიიღოს ყველა ზომა დაწესებულებაში ინდივიდუალური სპორტული აქტივობების განხორციელებისათვის საჭირო პირობების შესაქმნელად;
- ❖ რეგულარულად გაიმართოს მრავალფეროვანი სპორტული ღონისძიებები;
- ❖ მაქსიმალურად შეეწყოს ხელი დაწესებულების სოციალურ განყოფილებას პატიმრების მონაწილეობით ჩაატაროს სხვადასხვა ღონისძიებები, რომლებიც დაგეგმილი იქნება პატიმართა ინტერესის სფეროების გათვალისწინებით; უზრუნველყოფილ იქნას შეთავაზებული აქტივობების მრავალფეროვნება;
- ❖ მიიღოს ყველა საჭირო ზომა დაწესებულების ბიბლიოთეკის განსაახლებლად; ბიბლიოთეკა პერიოდულად მომარაგდეს პრესით;
- ❖ სამეურნეო სამსახურში მსჯავრდებულის ჩარიცხვის ბრძანებაში ან თანდართულ დოკუმენტში განისაზღვროს შესასრულებელი სამუშაოს სახე;
- ❖ შემუშავდეს ყველა დაწესებულებისათვის ერთიანი აღრიცხვის ფორმა, სადაც დაფიქსირდება სამეურნეო სამსახურში ჩარიცხული პირის მუშაობის გრაფიკი და მის მიერ საათობრივად შესრულებული სამუშაო;
- ❖ განიხილოს ზეგანაკვეთურად შესრულებული სამუშაოს შრომის კანონმდებლობის შესაბამისად ანაზღაურების საკითხი.

6. სამედიცინო მომსახურება

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო თავის განჩინებაში საქმეზე კუდლა პოლონეთის წინააღმდეგ (Kudla v. Poland) განმარტავს, რომ „კონვენციის მე-3 მუხლი სახელმწიფოს აკისრებს ვალდებულებას, დაიცვას თავისუფლება აღკვეთილი პირის ფიზიკური ჯანმრთელობა.“ სასამართლო თავის არაერთ გადაწყვეტილებაში უთითებს,

რომ „შესაბამისმა ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ დიაგნოზი და მკურნალობა იყოს დროული და ზუსტი და სამედიცინო პერსონალის მიერ გაწეული ზედამხედველობა იყოს რეგულარული და სისტემატიური ხასიათის და მოიცავდეს სრულ თერაპიულ სტრატეგიას“.⁶⁰

პენიტენციური დეპარტამენტის N3 დაწესებულებაში სამედიცინო პერსონალის საშტატო განრიგი ითვალისწინებს 12 პოზიციას. 2016 წლის 23-25 მაისს ჩატარებული მონიტორინგის დროს ოჯახის ექიმის 1 პოზიცია ვაკანტური იყო. 2017 წლის 3-5 თებერვალს განხორციელებული ვიზიტის დროს ოჯახის ექიმის პოზიციაზე დანიშნული იყო ექიმი, შესაბამისად, სამედიცინო პერსონალის რაოდენობა იყო 12. კერძოდ, დაწესებულების სამედიცინო პერსონალის შემადგენლობაში შედიოდა 1 მთავარი ექიმი, 1 პირველადი ჯანდაცვის ექიმი, 4 მორიგე ექიმი, 4 მორიგე ექთანი, 1 პირველადი ჯანდაცვის ექთანი, 1 წამლების სამარაგოზე პასუხისმგებელი პირი. გარდა ამისა, მთავარი ექიმის განმარტებით, სტომატოლოგი და ფსიქიატრი დაწესებულებაში შედიან კვირაში ორჯერ. დაწესებულებაში დღის განმავლობაში იმყოფებოდა მთავარი ექიმი, პირველადი ჯანდაცვის ექიმი, პირველადი ჯანდაცვის ექთანი, ასევე მორიგე ექიმი და მორიგე ექთანი. ღამის განმავლობაში, ისევე როგორც შაბათ-კვირას, დაწესებულებაში არის მხოლოდ 1 მორიგე ექიმი და 1 მორიგე ექთანი.

წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი⁶¹ მიუთითებს, რომ ექიმი ნებისმიერ დროს უნდა იყოს ხელმისაწვდომი პატიმრებისთვის, მათთვის განკუთვნილი რეჟიმის მიუხედავად. სამედიცინო მომსახურება იმგვარად უნდა იყოს ორგანიზებული, რომ დაუყოვნებლივ დაკმაყოფილდეს ექიმთან კონსულტაციის მოთხოვნა. სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებთან საუბრის დროს N3 დაწესებულებაში მოთავსებული პატიმრები მიუთითებდნენ სამედიცინო პერსონალის ხელმისაწვდომობის პრობლემაზე, ასევე მათი მხრიდან უყურადღებობაზე. პატიმრების განმარტებით, ხშირად პირველადი სამედიცინო მომსახურების მიღებისთვის ლოდინი უწევთ.

დაწესებულებაში არსებული პრაქტიკის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ პატიმარს სურს შეხვდეს მთავარ ექიმს, განცხადებით უნდა მიმართოს მას, რის გამოც გვიანდება პატიმართან შეხვედრა. გარდა ამისა, სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებმა დაადგინეს⁶², რომ პატიმრები, ტკივილგამაყუჩებელი ან სხვა სახის მედიკამენტის მოთხოვნის შემთხვევაში, მოთხოვნას ფურცელზე წერენ, რომელსაც მორიგე კონტროლიორი გადასცემს ექიმს ან ექთანს, რომელიც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს მედიკამენტის მიწოდებას. აღნიშნული პრაქტიკის გამო შესაძლებელია დაგვიანდეს საჭირო მედიკამენტის მიწოდება. სპეციალური პრევენციული ჯგუფის შეფასებით, ზემოთ აღწერილი პროცედურები ქმნის დამატებით ბარიერს სამედიცინო მომსახურების მიწოდების პროცესში, ამასთან არღვევს კონფიდენციალურობის პრინციპს.

⁶⁰ Inter alia ჯაში საქართველოს წინააღმდეგ, 2013 წლის 8 იანვრის განჩინება, პარ. 61

⁶¹ წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის სტანდარტები, პარ. 34, გვ. 61

⁶² 2016 წლის 23-25 მაისის ვიზიტის დროს

სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ პენიტენციური დეპარტამენტის N3 დაწესებულებაში 2015 წლის 7-9 მაისს განხორციელებული ვიზიტის შესახებ ანგარიშში აღნიშნული იყო დაწესებულებაში სამედიცინო მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებული რამდენიმე პრობლემა. კერძოდ, სპეციალური პრევენციული ჯგუფის შეფასებით, მძიმე იყო ექიმთა და განსაკუთრებით ექთნების სამუშაო პირობები. მთელი დღის განმავლობაში მთელ დაწესებულებას ემსახურებოდა პირველადი ჯანდაცვის მხოლოდ ერთი ექიმი და ექთანნი, რაც შეუძლებელს ხდიდა ექიმის მიერ პაციენტთა სრულფასოვან მომსახურებას სამედიცინო ნაწილში და პატიმართა ძირითად საცხოვრებელ საკნებში. ამასთან, პრობლემას წარმოადგენდა სამედიცინო დოკუმენტაციის სრულფასოვნად წარმოება. აღნიშნული პრობლემად რჩებოდა 2016 წელის 23-25 მაისს განხორციელებული ვიზიტის დროსაც. აღსანიშნავია, რომ 2017 წლის 3-5 თებერვალს განხორციელებული ვიზიტის დროს დაწესებულებაში მოთავსებული პატიმართა რაოდენობა მნიშვნელოვნად იყო შემცირებული.⁶³

საჭიროების შემთხვევებში, დაწესებულებაში სხვადასხვა პერიოდულობით, შემოდიან შემდეგი სამედიცინო დარგის სპეციალისტები: ინფექციონისტი, ფსიქიატრი, ნევროლოგი, უროლოგი, ოტორინოლარინგოლოგი, ოფთალმოლოგი, რადიოლოგი. სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრების მიერ შესწავლილი იქნა დოკუმენტაცია, სადაც მოცემული იყო ინფორმაცია ჩატარებული კონსულტაციების და კონსულტაციის ჩატარების მოლოდინში მყოფი პატიმრების შესახებ. აღნიშნული დოკუმენტაციის შესწავლიდან არ ჩანს ოტორინოლარინგოლოგის, ოფთალმოლოგის, კარდიოლოგის, ენდოკრინოლოგის მიერ ჩატარებული კონსულტაციების შესახებ. აღსანიშნავია, რომ პატიმრები უჩივიან კონსულტაციების დაგვიანებას. საგულსიხმოა, რომ კონსულტანთა ჟურნალში არ არის მითითებული კონსულტანტთან ჩაწერის თარიღი, ამიტომ რთულია იმის დადგენა, თუ რამდენი ხანი ელოდა პაციენტი სამედიცინო მომსახურების მიღებას.

2016 წელს N3 დაწესებულებაში მულტიდისციპლინური ჯგუფი შევიდა სამჯერ. 2016 წლის 23 იანვარს მულტიდისციპლინური ჯგუფის მიერ კონსულტაცია ჩატარდა 11 პატიმარს, 2016 წლის 9 აპრილს - 7 მსჯავრდებულს, 2016 წლის 15 მაისს კი - 12 მსჯავრდებულს. 2016 წლის 24 სექტემბერს აქციის ფარგლებში ფსიქოლოგმა 10, ნეიროქირურგმა 6, ტრავმატოლოგმა 8, ოტოლარინგოლოგმა 12, რევმატოლოგმა 7, ოფთალმოლოგმა 10, დერმატოლოგმა 10, ხოლო რენტგენოგრაფმა 13 კონსულტაცია ჩაატარა.

სპეციალურმა პრევენციულმა ჯგუფმა პენიტენციური დეპარტამენტის N3 დაწესებულებაში ჩატარებული მონიტორინგის დროს შეისწავლა სამედიცინო რეფერალის დროულობის საკითხი. სპეციალურმა პრევენციულმა ჯგუფმა დაადგინა, რომ ერთიან ელექტრონულ ბაზაში დარეგისტრირებისას პრობლემას წარმოადგენდა სასჯელაღსრულების სამედიცინო დეპარტამენტის მიერ შემთხვევის დროული დადასტურება. დაწესებულების მთავარი ექიმი სამედიცინო რეფერალის ერთიან

⁶³ 2017 წლის 3-5 თებერვლის ვიზიტის დროს დაწესებულებაში მოთავსებული იყო 30 პატიმარი.

ელექტრონულ ბაზაში დარეგისტრირების შუამდგომლობას უმეტეს შემთხვევებში 1-დან 10 დღმდე ვადაში გზავნიდა, თუმცა რიგ შემთხვევებში სამედიცინო დეპარტამენტიდან დადასტურებას 1-დან 6 თვემდე სჭირდებოდა. აღსანიშნავია, რომ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის მიერ 2015 წლის 22 აპრილს დამტკიცებული N31 ბრძანების შესაბამისად⁶⁴, ბრალდებულის/მსჯავრდებულის მოლოდინის პერიოდი გეგმურ მომსახურებაზე, სამედიცინო საჭიროებიდან გამომდინარე, განისაზღვრება გონივრული ვადით, რაც, გეგმურ სტაციონარულ მომსახურებაზე არ უნდა აღემატებოდეს 4 თვეს, ხოლო გეგმურ ამბულატორიულ მომსახურებაზე - 1 თვეს. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 10 აპრილის N55 ბრძანების⁶⁵ თანახმად, სამედიცინო დეპარტამენტი შუამდგომლობას განიხილავს გონივრულ ვადაში, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ დამტკიცებული ან აღიარებული კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციების (გაიდლაინების) და კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლების), ასევე, საჭიროებისას, საერთაშორისო სახელმძღვანელო დოკუმენტების გამოყენებით. შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევაში, თუ პაციენტს ესაჭიროება გეგმური სამედიცინო მომსახურება, სამედიცინო პროგრამაში ენიჭება რიგითი ნომერი და მისი სამკურნალო დაწესებულებაში/ცენტრში გადაყვანის შესახებ რეკომენდაცია, გადაყვანამდე არანაკლებ ერთი დღით ადრე, ეგზავნება დაწესებულების დირექტორსა და მთავარ ექიმს.

უნდა აღინიშნოს, რომ 2016 წლის მეორე ნახევრიდან, ელექტრონულ ბაზაში დარეგისტრირებისას, სამედიცინო დეპარტამენტის მიერ შემთხვევის დროული დადასტურების პრობლემა აღარ არის, რაც მისასალმებელია. მიუხედავად ამისა, სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებთან საუბრისას ბრალდებულებმა/მსჯავრდებულებმა განაცხადეს, რომ ხშირ შემთხვევაში გვიანდება სამედიცინო მომსახურების მისაღებად მათი გაყვანა, ამასთან, არც იმის შესახებ აქვთ ინფორმაცია, თუ რამდენ ხანში მიიღებენ სამედიცინო მომსახურებას. გარდა ამისა, არიან პაციენტები, რომლებიც სამედიცინო მომსახურების მიღებას ელოდებიან 2015 წლიდან.

- 2015 წლის 20 ნოემბერს პაციენტ ლ.ქ.-ს უროლოგმა ნეფროლოგის კონსულტაციის ჩატარების რეკომენდაცია მისცა. მთავარმა ექიმმა მიმართვა იმავე დღეს ატვირთა ელექტრონულ პროგრამაში, თუმცა სპეციალური პრევენციული ჯგუფის 2016 წლის 23-25 მაისის ვიზიტის დროს სამედიცინო დეპარტამენტის მიერ შემთხვევა დადასტურებული არ იყო. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, პაციენტი ლ.ქ. იმ დროისთვის არ საჭიროებდა რეფერალს სამოქალაქო სექტორის საავადმყოფოში და იმყოფებოდა დაკვირვების ქვეშ. თუ პაციენტი აღნიშნულ მომსახურებას არ საჭიროებდა, გაურკვეველია, რატომ გაიგზავნა მოთხოვნა.
- 2015 წლის 6 დეკემბერს პაციენტ ქ.გ.-ს ნევროლოგმა ელექტრომიოგრაფიის ჩატარების რეკომენდაცია მისცა. 2015 წლის 9 დეკემბერს მთავარმა ექიმმა მიმართვა ელექტრონულ

⁶⁴ მე-8 მუხლის მე-4 ნაწილი

⁶⁵ მე-2 მუხლის მე-4 ნაწილი

პროგრამაში ატვირთა, თუმცა სპეციალური პრევენციული ჯგუფის 2016 წლის 23-25 მაისის ვიზიტის დროს შემთხვევა სამედიცინო დეპარტამენტის მიერ ჯერ კიდევ არ იყო დადასტურებული. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროდან მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, იმ დროისთვის ქ.გ.-სთვის პრიორიტეტული იყო ოფთალმოლოგიური მიმართულებით მკურნალობა და მისი რეფერალი ამ მიმართულებით რამდენჯერმე განხორციელდა, თუმცა აღნიშნულ რეფერალთან დაკავშირებით სამინისტროს ინფორმაცია არ მოუწოდებია.

- 2015 წლის 15 დეკემბერს პაციენტ გ.ჯ.-ს წელის მალეობის ტომოგრაფიის რეკომენდაცია მიეცა. მთავარმა ექიმმა მიმართვა პროგრამაში 2015 წლის 24 დეკემბერს ატვირთა, თუმცა სპეციალური პრევენციული ჯგუფის 2016 წლის 23-25 მაისის ვიზიტის დროს სამედიცინო დეპარტამენტის მიერ შემთხვევა დადასტურებული არ იყო.
- 2015 წლის 29 მარტს პაციენტ დ.ნ.-ს პროქტოლოგმა ჰემოროიდექტომიის ჩატარების რეკომენდაცია მისცა. მთავარმა ექიმმა მიმართვა პროგრამაში 2015 წლის 29 დეკემბერს ატვირთა, თუმცა სპეციალური პრევენციული ჯგუფის 2016 წლის 23-25 მაისის ვიზიტის დროს სამედიცინო დეპარტამენტის მიერ შემთხვევა დადასტურებული არ იყო. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, დ.ნ.-მ უარი განაცხადა ოპერაციულ მკურნალობაზე, თუმცა გაურკვეველია, ეს დადასტურების შემდეგ მოხდა თუ მანამდე. აქვე აღსანიშნავია, რომ 14 თვის განმავლობაში სამედიცინო დეპარტამენტს აღნიშნულ მიმართვაზე რეაგირება არ ჰქონია.
- პაციენტი დ.ტ. მენისკექტომიის ჩატარების მიზნით ერთიან ელექტრონულ ბაზაში 2016 წლის 28 მარტს დარეგისტრირდა, სამედიცინო დეპარტამენტის მიერ შემთხვევის დადასტურება მოხდა 2016 წლის 18 მაისს. სპეციალური პრევენციული ჯგუფის 2016 წლის 23-25 მაისის ვიზიტის დროს პაციენტი გაყვანილი არ იყო. სამინისტროდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, დ.ტ.-ს შემთხვევა დადასტურებულია და მინიჭებული აქვს რიგითი ნომერი.

სამედიცინო რეფერალის დოკუმენტების შესწავლის დროს ასევე დადგინდა, რომ არის შემთხვევები, როდესაც უკვე დადასტურებული შემთხვევების დროულად გაყვანა არ ხდება. ასე მაგალითად, პაციენტ შ.ჯ.-სთვის კრანოიპლასტიკის ჩატარების თაობაზე მიმართვა მთავარმა ექიმმა ერთიან ელექტრონულ ბაზაში 2015 წლის 3 ოქტომბერს ატვირთა. სამედიცინო დეპარტამენტმა შემთხვევა 2016 წლის 3 თებერვალს დაადასტურა, თუმცა სპეციალური პრევენციული ჯგუფის 2016 წლის 23-25 მაისის ვიზიტის დროისთვის პაციენტი გაყვანილი არ იყო. სამინისტროდან 2016 წლის 9 ნოემბერს მიღებული ინფორმაციის თანახმად, პაციენტ შ.ჯ.-ს ჩაუტარდა ოპერაციული მკურნალობა, თუმცა ოპერაციული მკურნალობის თარიღი მითითებული არ არის.

N3 დაწესებულებაში კვლავ პრობლემად რჩება სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების საკითხი. 2015 წლის 7-9 მაისს, სპეციალური პრევენციულმა ჯგუფმა N3 დაწესებულებაში განხორციელებული ვიზიტის შესახებ ანგარიშში აღნიშნა, რომ დაწესებულებაში კონსულტაციის შესახებ დოკუმენტაციის წარმოების კუთხით არსებითი ხარვეზები იყო, რაც არ გამოსწორებულა. ზოგადი პრობლემის სახით უნდა აღინიშნოს, რომ სამედიცინო ბარათების ერთიანობა დარღვეულია, რაც ქმნის სამედიცინო ჩანაწერების დაკარგვის საფრთხეს. რიგ შემთხვევებში ჩანაწერებში არ არის

მითითებული, რომელმა ექიმმა გაუწია პატიმარს კონსულტაცია, ასევე არ არის აღნიშნული კონსულტაციის თარიღი. მნიშვნელოვანი ხარვეზები აღმოჩნდა პატიმართა სამედიცინო ბარათების წარმოების მხრივაც. მაგალითად, 1985 წელს დაბადებული მსჯავრდებული გ. გურამის-ძე გ.-ს სამედიცინო ბარათში ჩაკრული აღმოჩნდა სამედიცინო დოკუმენტაცია, რომელიც 1954 წელს დაბადებულ იმავე სახელისა და გვარის მქონე გ. ღვთისოს-ძე გ.-ს ეკუთვნოდა.

დაწესებულებაში მოთავსებული პატიმრების ნაწილს პრობლემები აქვს ფსიქიკური ჯანმრთელობის კუთხით. ამასთან, აუცილებელია იმ პატიმართა ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასება, რომლებიც სისტემატურად ავლენენ ანტისოციალურ ქცევას და არსებობს ეჭვი, რომ ასეთი ქცევა სწორედ მათი ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობით შეიძლება იყოს განპირობებული.

2016 წლის იანვრიდან მაისის ჩათვლით, N3 დაწესებულებაში ფსიქიატრი თვის განმავლობაში საშუალოდ 20 პაციენტს უწევდა კონსულტაციას. უნდა აღინიშნოს, რომ 2016 წლის ივნისი-დეკემბრის პერიოდში ფსიქიატრი თვის განმავლობაში საშუალოდ 30 კონსულტაციას ატარებდა. აღსანიშნავია, რომ ივნისის თვიდან N3 დაწესებულებაში მნიშვნელოვნად შემცირდა პატიმართა რაოდენობა, ხოლო ფსიქიატრის მიერ ჩატარებული კონსულტაციების რაოდენობა გაიზარდა.

დადებითად უნდა შეფასდეს ის ფაქტი, რომ წამლების სამარაგოს განსათავსებლად გამოიყო სათანადო ფართი დაწესებულების ადმინისტრაციული შენობის მეორე სართულზე, დაწესებულების ფარმაცევტს გადაეცა კომპიუტერი და შეექმნა ადეკვატური სამუშაო გარემო. სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებს წამლების სამარაგოს შემოწმების დროს ვადაგასული მედიკამენტი არ აღმოუჩენიათ. თუმცა წამლების სამარაგოში არსებული პირობები არ შეესაბამებოდა საქართველოს მთავრობის 2014 წლის 29 სექტემბრის N575 დადგენილების მოთხოვნებს. კერძოდ, აფთიაქის ჭერისა და კედლების მოპირკეთება არ იძლეოდა სველი წესით რეგულარულად დასუფთავებისა და საჭიროების მიხედვით სადეზინფექციო სამუშაოების ჩატარების საშუალებას.⁶⁶

სტომატოლოგიური კაბინეტი არ შეესაბამება სტომატოლოგიური პროფილის დაწესებულებებისათვის სანიტარიული წესების დამტკიცების შესახებ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2002 წლის 5 ნოემბრის N309/ნ ბრძანებით დადგენილ სტანდარტებს.⁶⁷ კერძოდ, N3 დაწესებულების სამედიცინო ნაწილში განთავსებული სტომატოლოგიური კაბინეტის ფართობი ნაკლებია 18 კვ.მ-ზე, ნესტიანია, კედლები და იატაკი დაზიანებულია. შეუძლებელია სტომატოლოგიური კაბინეტის სველი წესით დამუშავება. აღსანიშნავია, რომ 2017 წლის 2-3 თებერვლის ვიზიტის დროს N3 დაწესებულებაში მიმდინარეობდა სამედიცინო ნაწილის რემონტი,

⁶⁶ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 29 სექტემბრის N575 დადგენილება, 1-ლი მუხლი, მე-14 ნაწილი.

⁶⁷ სტომატოლოგიური პროფილის ამბულატორიულ-პოლიკლინიკური დაწესებულებებისათვის სანიტარიული წესების დამტკიცების შესახებ N309/ნ ბრძანება, მუხლი 22.

მათ შორის, იგეგმებოდა სტომატოლოგიური კაბინეტის რემონტი და სასტერილიზაციო ოთახის მოწყობა.

N3 დაწესებულების სამედიცინო პერსონალის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, პატიმრებს აწუხებთ ტკივილი წელის არეში (ე.წ. „ნარის სიმპტომი“), რაც განპირობებულია უმოძრაობით და მცირე ფართის საწოლზე⁶⁸ ერთ პოზაში წოლით; ასევე აქვთ კუჭ-ნაწლავის დაავადებები, გამოწვეული უმოძრაობით, კვების და ძილის რეჟიმის დარღვევით; ხშირია თავის ტკივილი, რასაც სამედიცინო პერსონალი საკანში უჭაერობას/ჟანგბადის ნაკლებობას უკავშირებს; პერსონალი ასევე აცხადებს, რომ ხშირია შემთხვევები, როდესაც პატიმრებს აღენიშნებათ გამონაყარი, რომელსაც მედიკამენტურად ვერ მკურნალობენ და ვარაუდობენ, რომ ეს გამონაყარი განპირობებულია საკანში არსებული პირობებითა და უჭაერობით. ვინაიდან დახურული ტიპის დაწესებულებებში მყოფი პატიმრები რეალურად 1 საათზე მეტი ხნით არ იმყოფებიან სუფთა ჰაერზე⁶⁹, ხოლო საკანში ბუნებრივი და ხელოვნური ვენტილაციის პრობლემებია, მნიშვნელოვანია პატიმრებს, ერთი მხრივ, მიეცეთ საშუალება შეძლებისდაგვარად მეტი დრო გაატარონ სუფთა ჰაერზე და მეორე მხრივ, საკნებში უზრუნველყოფილ იქნას სათანადო ხელოვნური და ბუნებრივი ვენტილაცია.

რეკომენდაციები სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს:

- ❖ სასჯელაღსრულების N3 დაწესებულებაში უზრუნველყოფილ იქნას მოწვეულ ექიმ კონსულტანტთა სათანადო სიხშირის ვიზიტები;
- ❖ აღმოიფხვრას პატიმრის მიერ წერილობითი განცხადებით სამედიცინო მომსახურების მოთხოვნის მანკიერი პრაქტიკა; პატიმრები უზრუნველყოფილ იქნან დროული და ადეკვატური სამედიცინო მომსახურებით, ასევე დაცული იქნას კონფიდენციალურობის პრინციპი;
- ❖ შევიდეს ცვლილება სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის 10 აპრილის N55 ბრძანებაში და დროული სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით სამედიცინო დეპარტამენტისთვის განისაზღვროს პატიმრის სამედიცინო რეფერალის თაობაზე მთავარი ექიმის შუამდგომლობის განხილვის ვადა;
- ❖ მიიღოს ყველა საჭირო ზომა სამედიცინო პერსონალის მიერ სამედიცინო დოკუმენტაციის სრულყოფილი წარმოებისა და სამედიცინო მომსახურების

⁶⁸ საწოლის ფართი 63x189 სმ.

⁶⁹ პატიმრობის კოდექსის თანახმად, ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს: ყოველდღიურად არანაკლებ 1 საათისა იმყოფებოდეს სუფთა ჰაერზე (ისარგებლოს გასეირნების უფლებით).

უწყვეტობის უზრუნველსაყოფად:

- ❖ უზრუნველყოფილ იქნას პენიტენციური დეპარტამენტის N3 დაწესებულებაში მოთავსებული პატიმრებისათვის ადეკვატური ფსიქიატრიული დახმარების დროულად მიწოდება;
- ❖ მიიღოს ყველა საჭირო ზომა დაწესებულებაში არსებულ წამლების სამარაგო/საწყობში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დასაცავად.

7. კვება და სასმელი წყალი

ციხის ადმინისტრაციამ უნდა უზრუნველყოს ყველა პატიმარი ჯანმრთელობისათვის საჭირო კვებითი ღირებულების, კარგად მომზადებული და სასარგებლო საკვებით.⁷⁰

N3 დაწესებულებაში დადგენილია ძირითადი სახის მენიუ (დახურული ტიპის დაწესებულების მსჯავრდებულთა მენიუ), დიაბეტით დაავადებულთა მენიუ, ღვიძლით დაავადებულთა მენიუ და კუჭ-ნაწლავით დაავადებულთა მენიუ, რომლებიც რეგულირდება „ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა კვების ნორმებისა და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურდიული დახმარების საკითხთა მინისტრისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2015 წლის 13 აგვისტოს ბრძანებით.⁷¹

სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ 2016 და 2017 წლებში N3 დაწესებულებაში განხორციელებული მონიტორინგების დროს შემოწმდა სამზარეულოში არსებული საკვები პროდუქტების ვარგისიანობის ვადა. დარღვევა აღმოჩენილი არ ყოფილა, თუმცა გამოკითხული პატიმრების ნაწილი უკმაყოფილებას გამოხატავდა საკვების გემოსთან, განსაკუთრებით კი დიეტურ საკვებთან დაკავშირებით. საქართველოს სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ მნიშვნელოვანია სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ რეგულარულად განხორციელდეს პენიტენციური დაწესებულებების სასადილოების შემოწმება, ამასთან, შემოწმების შედეგები ცნობილი გახდეს საზოგადოებისთვის.

ევროპული ციხის წესების მიხედვით პატიმრები უნდა იყვნენ უზრუნველყოფილი სათანადო საკვებით, მათი ასაკის, ჯანმრთელობის და ფიზიკური მდგომარეობის, რელიგიის, კულტურის და მუშაობის ხასიათის გათვალისწინებით.⁷²

⁷⁰ მანდელას წესები, წესი 22(1). ევროპული ციხის წესები, წესი 22.1-22.6.

⁷¹ დამტკიცებულია სასჯელაღსრულებისა და პრობაციისა მინისტრისა და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №88-№01-34/ნ ერთობლივი ბრძანებით.

⁷² ევროპული ციხის წესები, მუხ. 22.1

მონიტორინგით დადგინდა, რომ N3 დაწესებულებაში საკვების მომზადებისას არ ითვალისწინებენ სხვადასხვა რელიგიური კონფესიების წარმომადგენელთა საჭიროებებს, რის გამოც ისინი ხშირად უარს აცხადებენ შეთავაზებული საკვების მიღებაზე. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, მენიუს შედგენის დროს გათვალისწინებული იქნას რელიგიური თავისებურებები.

პატიმრებმა უკმაყოფილება გამოთქვეს დაწესებულების მაღაზიაში არსებული პროდუქციის სიმწირის გამო. პატიმართა გადმოცემით, მათ არ აქვთ იმ პროდუქტების ჩამონათვალი (ფასებით), თუ რა პროდუქცია არის მაღაზიაში. მაღაზიაში არ იყიდება ტელევიზორი და ჰიგიენის დაცვისთვის საჭირო ნივთები, ასევე არ იყიდება ხილი და რძის პროდუქტები.

ევროპული ციხის წესების თანახმად, პატიმრებისათვის სუფთა სასმელი წყალი ნებისმიერ დროს უნდა იყოს ხელმისაწვდომი.⁷³ გარდა ამისა, ექიმი ან სხვა კომპეტენტური პირი რეგულარულად უნდა ამოწმებდეს, აგროვებდეს ინფორმაციას სხვა სათანადო წყაროებიდან და რეკომენდაციას უწევდეს დირექტორს შემდეგზე:

- ა. საკვების და წყლის რაოდენობა, ხარისხი, მომზადება და მიწოდება;
- ბ. დაწესებულების და პატიმრების ჰიგიენა და სისუფთავე;
- გ. სასჯელაღსრულების დაწესებულების სანიტარული მდგომარეობა, გათბობა, განათება და ვენტილაცია;
- დ. პატიმართა ტანსაცმლისა და ქვეშაგების სისუფთავე და გამოსადეგობა.⁷⁴

ვიზიტის დროს დადგინდა, რომ დაწესებულებაში არსებობს წყალმომარაგების პრობლემა. პატიმრებს წყალი მიეწოდებათ გრაფიკით. გარდა ამისა, როგორც 2016 წლის 23-25 მაისს განხორციელებული მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, დაწესებულებაში არსებულ წყლის სამარაგოში – 5 ორ ტონიან პლასტმასის ცისტერნებში წყალი დაბინძურებული იყო. აღნიშნულის თაობაზე ეცნობა დაწესებულების დირექტორის პირველ მოადგილეს, რის შემდგომ ადმინისტრაციის სამეურნეო განყოფილების მოსამსახურებმა წყლისგან დაცალეს და გაასუფთავეს ცისტერნები. როგორც ჩანს, მიუხედავად დაწესებულებაში არსებული წყალმომარაგების პრობლემისა, ზემოთ მითითებული წყლის სამარაგო არ გამოიყენებოდა პატიმართა წყალმომარაგების უწყვეტობის უზრუნველსაყოფად, ვინაიდან ცისტერნაში არსებულ წყალში ეყარა მკვდარი მწერები და წყალს სიძველისგან შეცვლილი ჰქონდა ფერი. შესაბამისად, მნიშვნელოვანია დაწესებულებამ მიიღოს ყველა საჭირო ზომა სასმელი წყლის უწყვეტი ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად.

რეკომენდაციები სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს:

⁷³ წესი 22.5

⁷⁴ ციხის ევროპული წესები, წესი 44

- ❖ სრულად იქნას დაცული „ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა კვების ნორმებისა და სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2015 წლის 13 აგვისტოს N88-N01-34/ნ ბრძანებით დადგენილი მოთხოვნები;
- ❖ საკვების მომზადებისას გათვალისწინებულ იქნას სხვადასხვა კონფესიების წარმომადგენელთა სპეციალური საჭიროებები;
- ❖ შეისწავლოს N3 პენიტენციური დაწესებულებაში არსებული მაღაზიის მოთხოვნადი პროდუქციით მომარაგების საკითხი და მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა უზრუნველყოფილი იყოს მაღაზიის პროდუქციით სრულყოფილი მომარაგება;
- ❖ მიიღოს ყველა საჭირო ზომა დაწესებულების წყალმომარაგების პრობლემის აღმოსაფხვრელად.

8. რეჟიმი, დისციპლინური პასუხისმგებლობა, წახალისება

ევროპული ციხის წესების თანახმად, დისციპლინური სასჯელი გამოყენებულ უნდა იქნეს, როგორც უკიდურესი საშუალება.⁷⁵ ციხის ადმინისტრაციამ მედიაციის ყველა შესაძლებლობას უნდა მიმართოს, რათა მოაგვაროს საკამათო საკითხები პატიმრებთან და პატიმრებს შორის.⁷⁶ ნებისმიერი სასჯელი უნდა იყოს ჩადენილი დანაშაულის პროპორციული.⁷⁷ აკრძალულია კოლექტიური და ფიზიკური დასჯა, რომელიც ითვალისწინებს ბნელ საკანში პირის მოთავსებას, ასევე აკრძალულია არაადამიანური და ღირსების შემლახავი სხვა სახდელები.⁷⁸ მნიშვნელოვანია, რომ დისციპლინური სახდელი არ უნდა მოიცავდეს ოჯახთან კონტაქტის სრულად აკრძალვას.⁷⁹

საქართველოს კანონმდებლობა არ განსაზღვრავს, თუ რომელი დისციპლინური სახდელი უნდა დაეკისროს დამრღვევს კონკრეტულ შემთხვევაში, რაც დაწესებულების ხელმძღვანელ პირებს საკმაოდ ფართო დისკრეციას აძლევს დისციპლინური სახდელის შერჩევის პროცესში და ზრდის სახდელების არაპროპორციულად გამოყენების რისკს.

ვიზიტის მიმდინარეობისას მონიტორინგის ჯგუფმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო N3 დაწესებულებაში დისციპლინური სახდელების გამოყენების პრაქტიკას.

⁷⁵ ციხის ევროპული წესები. წესი 56.1

⁷⁶ იქვე, წესი 56.2

⁷⁷ იქვე, წესი 60.2

⁷⁸ იქვე, წესი 60.3

⁷⁹ იქვე, წესი 60.4

2016 წელს დაწესებულებაში გამოყენებული დისციპლინური სახდელების შესახებ ინფორმაცია იხილეთ ქვემოთ, ცხრილში.

2016 წელს დისციპლინური სახდელების გამოყენების შემთხვევები	
გამოყენებული დისციპლინური სახდელები	გამოყენებული დისციპლინური სახდელების რაოდენობა
გაფრთხილება	584
სატელეფონო საუბრის შეზღუდვა	180
პირადი ხასიათის კორესპოდენციის მიღება-გაგზავნის შეზღუდვა	82
მომდევნო ხანმოკლე პაემნის აკრძალვა	47
სამართლო საკანში მოთავსება	15
საყვედური	7
ამანათის აკრძალვა	3
სულ	924

როგორც ცხრილში არებული მონაცემებიდან ჩანს, 2016 წელს დაწესებულების დირექტორი ყველაზე ხშირად (63.2%) დისციპლინური დასჯის სახით გაფრთხილებას იყენებდა, ხოლო სატელეფონო საუბრის შეზღუდვა გამოყენებული დისციპლინური სახდელების 19.48 % -ს შეადგენს.

2015 და 2016 წლებში ამავე დაწესებულებაში დისციპლინური სახდელების გამოყენების მაჩვენებელი იხილეთ, ქვემოთ, ცხრილში.

	პატიმართა საშუალო რაოდენობა წლის მანძილზე	სამართლო საკანში მოთავსება	სხვა სახდელები	სულ
2015 წელი	161	85	219	304
2016 წელი	101	15	909	924

როგორც ცხრილში ასახული მონაცემებიდან ჩანს, საგანგაშოდ არის გაზრდილი დისციპლინური სახდელების გამოყენების მაჩვენებელი N3 დაწესებულებაში. კერძოდ, თუ 2015 წელს ერთ პატიმარზე საშუალოდ 2 დისციპლინური სახდელი მოდიოდა, 2016 წელს ამ მაჩვენებელმა ერთ პატიმარზე საშუალოდ 9 შეადგინა.

გამოკითხულ პაციმართა განცხადებით, დაწესებულების თანამშრომლების მხრიდან ადგილი აქვს მათ პროვოცირებას დისციპლინური სახდელების დაკისრების ან დეესკალაციის ოთახში მოთავსების მიზნით.

როგორც ვიზიტის შედეგად გაირკვა, პაციმრებს აქვთ განცდა, რომ დეესკალაციის საკნებში მათი გადაყვანა ხდება დასჯის მიზნით, მათ მიერ დაწესებულების დებულების დარღვევის შემთხვევაში და არა მათი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. ამავდროულად, მათ აკისრებენ დისციპლინურ სახდელებს. დაწესებულებაში არსებული დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად ჯგუფმა გაარკვია, რომ დეესკალაციის ოთახში მოთავსების 51 შემთხვევიდან 22 შემთხვევაში, პაციმრის დისციპლინური დასჯა მოხდა დეესკალაციის ოთახში გადაყვანის პერიოდში ან 1 დღის ინტერვალით. სპეციალური პრევენციული ჯგუფის აზრით, დაუშვებელია დასჯის მიზნით უსაფრთხოების ღონისძიებების გამოყენება. ამ ღონისძიებების გამოყენება უნდა ემსახუროდეს მხოლოდ კანონმდებლობით განსაზღვრულ მიზანს, დაწესებულებაში მყოფ პირთა უსაფრთხოების დაცვას.

ზემოთ მითითებული 22 შემთხვევიდან 11 შემთხვევაში პაციმრებს ჰქონდათ სხვადასხვა ფსიქიკური აშლილობები, მათ შორის, ერთ შემთხვევაში ხანგრძლივი ბოდვითი აშლილობები (F22), ორგანული პიროვნული აშლილობები (F07.0), ორ შემთხვევაში არაორგანული ბუნების ძილის დარღვევები (F51) და შვიდ შემთხვევაში პიროვნების ემოციურად არასტაბილური აშლილობა (F60.3). შესაბამისად, მათი ქცევა შესაძლებელი იყო გამოეწვია მათსავე ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დეესკალაციის ოთახებში არსებული გარემო პირობები არ არის უსაფრთხო⁸⁰ და მოწყობილი იმგვარად⁸¹, რომ მინიმუმამდე იყოს დაყვანილი თვითდაზიანების რისკი, რასაც ადასტურებს აღნიშნულ ოთახებში ყოფნის პერიოდში პაციმართა მიერ მიყენებული თვითდაზიანებების შემთხვევები.

სპეციალური პრევენციული ჯგუფის აზრით, დაუშვებელია უსაფრთხოების ღონისძიებების გამოყენება დასჯის მიზნით, ვინაიდან აღნიშნული ღონისძიებები მხოლოდ კანონმდებლობით განსაზღვრულ მიზანს – დაწესებულებაში მყოფ პირთა უსაფრთხოების დაცვას უნდა ემსახუროდეს.

ნელსონ მანდელას წესების თანახმად,⁸² დისციპლინური სასჯელის დაკისრებამდე, ციხის ადმინისტრაციამ უნდა გათვალოს, რამდენად შეიძლებოდა პაციმრის ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობას ან განვითარების დარღვევას ემოქმედა მის ქცევასა და დანაშაულებრივ ქმედებაზე ან ქმედებაზე, რომელიც საფუძვლად დაედო დისციპლინურ

⁸⁰ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, დეესკალაციის ოთახების კედლების მოსაპირკეთებელი რბილი მასალა საქართველოს მასშტაბით არ არის ხელმისაწვდომი.

⁸¹ დეესკალაციის ოთახებში იატაკი და კედლები არ არის რბილი მასალისგან მოპირკეთებული.

⁸² წესი 39.

სახდელს. დაუშვებელია, ციხის ადმინისტრაციამ სასჯელი დაუწესოს პატიმარს რაიმე სახის ქმედებისთვის, თუ ეს ქმედება მისი ფსიქიკური დაავადების ან შეზღუდული გონებრივი შესაძლებლობების პირდაპირი შედეგია.

ნაცვლად იმისა, რომ ზემოთ მითითებული 11 პირისთვის მიეწოდებინათ სათანადო ფსიქიატრიული მომსახურება, ისინი მოათავსეს დაწესებულების უსაფრთხო ოთახში (რომელიც მისი მოწყობით სრულიადაც არ არის უსაფრთხო) და დამატებით დააკისრეს დისციპლინური სახდელი. მეტიც, აღნიშნული პირები უსაფრთხო საკანში ყოფნის პერიოდში არ უნახავს ფსიქიატრს. ფსიქიატრის კონსულტაცია მათ რიგ შემთხვევაში უსაფრთხო საკანში მოხვედრადე, ან აღნიშნული საკნიდან გამოსვლის შემდეგ, რამდენიმე დღეში ჩაუტარდათ.

პატიმრობის კოდექსის 87-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, „დისციპლინური სახდელის ვადამდე მოხსნა შეუძლია დაწესებულების დირექტორს ან მის მიერ უფლებამოსილ პირს, თუ სახდელის მიზანი მიღწეულია“. სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ 2016 წელს გამოყენებული 924 დისციპლინური სახდელიდან პატიმარს დისციპლინური სახდელი ვადამდე არც ერთ შემთხვევაში არ მოეხსნა.

როგორც წესი, პრაქტიკაში დისციპლინური სამართალწარმოება ზეპირი მოსმენის გარეშე იმართება, ხოლო განკარგულება დისციპლინური სახდელის დაკისრების შესახებ გამყარებულია მხოლოდ დაწესებულების თანამშრომელთა ახსნა-განმარტებებითა და პატაკებით. პატიმრები დისციპლინურ სამართალწარმოებაში პრაქტიკულად არ მონაწილეობენ, რაც დისციპლინური სახდელის უკანონოდ დაკისრების მაღალ რისკს წარმოშობს.

ამდენად, მნიშვნელოვანია, რომ პატიმრები ჯეროვნად იყვნენ ინფორმირებული დისციპლინური სამართალწარმოების პროცედურისა და უფლებების შესახებ; მიეცეთ საკმარისი დრო და საშუალება საკუთარი თავის დასაცავად; ჰყავდეთ ადვოკატი; მისცენ ახსნა-განმარტება; წარმოადგინონ მოწმეები და მტკიცებულებები (მათ შორის, მოითხოვონ სათვალთვალო კამერების ჩანაწერების ამოღება და შესწავლა); ასევე, დაუსვან კითხვები დაწესებულების იმ თანამშრომლებს, რომელთა პატაკის საფუძველზეც მიმდინარეობს დისციპლინური სამართალწარმოება.

ნელსონ მანდელას წესების თანახმად, პატიმარს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, მოითხოვოს სასამართლოს მიერ მის მიმართ დაწესებული სანქციის გადახედვა⁸³.

N3 დაწესებულების დირექტორის 2017 წლის 18 იანვრის წერილობითი პასუხის⁸⁴ თანახმად, ბათუმის საქალაქო სასამართლოში გასაჩივრდა ამავე დაწესებულების დირექტორის 8 განკარგულება⁸⁵ დისციპლინური სახდელების დაკისრების შესახებ.

⁸³ წესი 41.4.

⁸⁴ MOC 7 170043478 წერილი.

⁸⁵ მარტში 3 განკარგულება გასაჩივრდა, აგვისტოში – 1, ნოემბერში – 1 და დეკემბერში – 3.

ამათგან 3 შემთხვევაში – შედეგი უცნობია, 2 შემთხვევაში სარჩელი წარმოებაში არ იქნა მიღებული ხარვეზის შეუვსებლობის გამო, ერთ საჩივარი იყო განხილვის სტადიაში, ერთი დარჩა განუხილველი და ერთ შემთხვევაში საქმის წარმოება შეწყდა სარჩელის დაუშვებლობის მოტივით.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ პატიმრები დისციპლინური სახდელის დაკისრების შესახებ განკარგულებას კვლავ იშვიათად ასაჩივრებენ. ეს შეიძლება რამდენიმე ფაქტორით იყოს განპირობებული, მათ შორის, საკუთარი უფლებების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობით, დისციპლინურ სამართალწარმოებაში პატიმართა ჩაურთველობით, იურიდიული დახმარების საჭიროებით, სასამართლო ბაჟით და რაც მთავარია, უიმედობით. ასეთი მდგომარეობა კი ზრდის დაწესებულების ადმინისტრაციის მხრიდან თვითნებობის რისკს.

პატიმართა წახალისება

საქართველოს პატიმრობის კოდექსის 66⁴ მუხლის თანახმად, განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მყოფი მსჯავრდებულის სანიმუშო ყოფაქცევისა და საქმიანობისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულების შემთხვევაში ადმინისტრაცია უფლებამოსილია მის მიმართ გამოიყენოს წახალისების შემდეგი ფორმები:

- ა) მადლობის გამოცხადება;
- ბ) დაკისრებული დისციპლინური სახდელის ვადამდე მოხსნა;
- გ) დამატებითი სატელეფონო საუბრის უფლების მიცემა;
- დ) დამატებითი ხანმოკლე პაემნით სარგებლობის უფლების მიცემა;
- ე) პირადი ტელევიზორით ან რადიომიმღებით სარგებლობის უფლების მიცემა;
- ვ) პენიტენციური დაწესებულების დირექტორის გადაწყვეტილებით, დეპარტამენტის დირექტორის თანხმობით საგამონაკლისო ხანმოკლე პაემნის უფლების მიცემა;
- ზ) პენიტენციური დაწესებულების დირექტორის გადაწყვეტილებით, დეპარტამენტის დირექტორის თანხმობით იმ პირთან ხანმოკლე პაემნის უფლების მიცემა, რომელიც გათვალისწინებული არ არის ამ კოდექსის მე-17 მუხლის მე-2 ნაწილით.⁸⁶

⁸⁶ პატიმრობის კოდექსის მე-17 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ბრალდებულს/მსჯავრდებულს მისი წერილობითი თხოვნის საფუძველზე შეიძლება მიეცეს თავის ახლო ნათესავებთან (შვილი, მეუღლე, პირი, რომელთანაც საერთო შვილი ჰყავს, მშობელი (მშვილბელი), დედინაცვალი, მამინაცვალი, მეუღლის მშობელი, გერი, ნაშვილები და მისი შთამომავალი, შვილიშვილი, და, ძმა, დისწული, ძმისწული და მათი შვილები, ბებია, პაპა, ბების დედ-მამა, პაპის დედ-მამა (როგორც დედის, ისე მამის მხრიდან), ბიძა (დედის ძმა, მამის ძმა), დეიდა, მამიდა, ბიძაშვილი,

N3 დაწესებულებაში 2015 წლის მანძილზე პატიმრები 47 შემთხვევაში წახალისდნენ, აქედან 10 შემთხვევაში – სარეაბილიტაციო აქტივობებში მონაწილეობის გამო. რაც შეეხება 2016 წელს, აღნიშნულ პერიოდში წახალისების მხოლოდ 7 შემთხვევა დაფიქსირდა, აქედან არც ერთი არ იყო სარეაბილიტაციო აქტივობებში მონაწილეობის გამო, რაც უარყოფითად უნდა შეფასდეს.

სპეციალური პრევენციული ჯგუფის შეფასებით, პატიმართა ხშირ წახალისებას შეუძლია შეასუსტოს დაწესებულებაში ციხის სუბკულტურის გავლენა და ხელი შეუწყოს მსჯავრდებულთა რესოციალიზაციას. 2015 წლის 7-9 მაისს განხორციელებული ვიზიტის შემდეგ, სახალხო დამცველმა რეკომენდაციით⁸⁷ მიმართა N3 დაწესებულების დირექტორს მიეღო ყველა საჭირო ზომა დაწესებულებაში წახალისების პოლიტიკის გასაძლიერებლად. როგორც განხორციელებულმა მონიტორინგმა აჩვენა, სახალხო დამცველის ეს რეკომენდაცია გათვალისწინებული არ არის.

რეკომენდაციები სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს:

- ❖ დისციპლინური სახდელების ერთგვაროვანი გამოყენების უზრუნველსაყოფად შემუშავდეს დისციპლინური სახდელების გამოყენების სახელმძღვანელო პრინციპები;
- ❖ დისციპლინური სახდელი გამოყენებულ იქნეს, როგორც უკიდურესი ღონისძიება.

რეკომენდაცია N3 დაწესებულების დირექტორს:

- ❖ სარეაბილიტაციო აქტივობებში მეტი ჩართულობის უზრუნველსაყოფად უფრო ხშირად იქნას გამოყენებული წახალისების ფორმები.

დეიდაშვილი, მამიდაშვილი, აგრეთვე პირი, რომელთანაც ცხოვრობდა და საერთო მეურნეობას ეწეოდა პენიტენციურ დაწესებულებაში მოხვედრამდე ბოლო 1 წლის განმავლობაში) ხანმოკლე პაემნის უფლება. აღნიშნულ პირებთან შეხვედრაზე პენიტენციური დაწესებულების დირექტორის თანხმობა/მოტივირებული უარი ბრალდებულს/მსჯავრდებულს წერილობით ეცნობება.

⁸⁷ იხილეთ, სასჯელაღსრულების N3 დაწესებულებაში ვიზიტის შესახებ ანგარიში (2015 წლის 7-9 მაისი), გვერდი 20; ხელმისაწვდომია შემდეგ ელ. მისამართზე < <http://www.ombudsman.ge/ge/reports/specialuri-angarishebi/angarishi-sasdjelagsrulebis-n3-dawesebulebashi-vizitis-shesaxeb-2015-wlis-7-9-maisi.page> >

9. კონტაქტი გარე სამყაროსთან

წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი თავის რეკომენდაციებში ხაზს უსვამს თითოეული თავისუფლება აღკვეთილი პირისთვის ოჯახთან მყარი კავშირის შენარჩუნების მნიშვნელობას. კომიტეტის თანახმად, „აქ სახელმძღვანელო პრინციპად გვევლინება გარე სამყაროსთან კონტაქტების შენარჩუნების მხარდაჭერა; ასეთი კონტაქტის ნებისმიერი შეზღუდვა უნდა ეფუძნებოდეს სერიოზული ხასიათის უსაფრთხოების მოსაზრებებს ან არსებულ მატერიალურ რესურსებთან დაკავშირებულ პრობლემებს.“⁸⁸ ნელსონ მანდელას წესების 106-ე პუნქტი ეხება პატიმრის ოჯახის წევრებთან ურთიერთობის შენარჩუნების საკითხს, რომლის მიხედვითაც, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს პატიმარსა და მის ოჯახს შორის კავშირების შენარჩუნებას და განმტკიცებას, რაც სასურველადაა მიჩნეული და ემსახურება ორივე მხარის ინტერესებს.

პატიმრობის კოდექსის 46-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მსჯავრდებული სასჯელს იხდის მისი ან მისი ახლო ნათესავის საცხოვრებელი ადგილიდან ყველაზე ახლოს მდებარე, შესაბამისი ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მისი იქ განთავსება შეუძლებელია დაწესებულების გადატვირთულობის გამო. გამონაკლის შემთხვევაში, მსჯავრდებულის ჯანმრთელობის გამო, პირადი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ან/და მისი თანხმობის შემთხვევაში, შესაძლებელია მისი გადაყვანა სხვა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში.

N3 დაწესებულებაში 2016 წლის 23-25 მაისს ჩატარებული მონიტორინგების დროს კვლავ პრობლემას წარმოადგენდა პატიმრის განთავსების დროს ოჯახის საცხოვრებელი ადგილის გაუთვალისწინებლობა. დაწესებულებაში პაემნით სარგებლობასთან დაკავშირებით პრობლემები ძირითადად აღმოსავლეთ საქართველოდან გადმოყვანილ პატიმრებს ექმნებათ. მათ ასევე პრობლემები აქვთ ადვოკატთან შეხვედრის კუთხით.

აღსანიშნავია, რომ 2015 წელთან შედარებით, 2016 წელს N3 დაწესებულებაში 20%-ით მოიმატა ხანმოკლე პაემნით სარგებლობის მაჩვენებელმა. ეს იმ ფონზე, რომ 2016 წლის ივლისიდან N3 დაწესებულებაში პატიმართა რაოდენობა 45%-ით შემცირდა. თუ 2016 წლის პირველი 6 თვის მანძილზე დაწესებულებაში მოთავსებული იყო საშუალოდ 113 პატიმარი, ამავე წლის ბოლო 6 თვის მანძილზე დაწესებულებაში საშუალოდ 51 პატიმარი იყო.

ხანმოკლე პაემნის ინფრასტრუქტურა გათვალისწინებულია ერთდროულად 3 პაემნისთვის, თუმცა დაწესებულების თანამშრომლის განმარტებით, პატიმართა დაპირისპირების რისკის ფაქტორების გათვალისწინებით, ერთდროულად რამდენიმე პაემნის განხორციელება ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით აკრძალულია. 2016 წლის

⁸⁸ წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯის აღკვეთის ევროპის კომიტეტი (CPT). წამების საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტის საერთო ანგარიშების სარეზოლუციო ნაწილები. სტრასბურგი, 18 აგვისტო 2000 წ. გვ. 37.

23-25 მაისს განხორციელებული ვიზიტისას, სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებთან საუბრის დროს პატიმრები მიუთითებდნენ, რომ აღნიშნული პრაქტიკის გამო მათ სანახავად მისულ ოჯახის წევრებს საათობით უწევდათ ლოდინი. თუმცა 2017 წლის 2-4 თებერვალის ვიზიტის დროს, როდესაც დაწესებულებაში მოთავსებული იყო მხოლოდ 30 პატიმარი, მსჯავრდებულებს აღნიშნულ პრობლემაზე ყურადღება აღარ გაუმახვილებიათ. სპეციალური პრევენციული ჯგუფის აზრით, პატიმართა რაოდენობის გაზრდის შემთხვევაში აღნიშნული პრობლემა კვლავ აქტუალური გახდება.

N3 დაწესებულებაში პატიმრის მოთავსების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, პატიმრის ოჯახის წევრების საცხოვრებელი ადგილის⁸⁹ გათვალისწინების რეკომენდაციით საქართველოს სახალხო დამცველმა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს N3 დაწესებულებაში 2015 წლის 7-9 მაისის ვიზიტის შემდეგ მიმართა.⁹⁰ თუმცა, აღნიშნული რეკომენდაცია არ შესრულებულა და კვლავ პრობლემად რჩება იმ პატიმრების N3 დაწესებულებაში მოთავსება, რომელთა ოჯახებიც აღმოსავლეთ საქართველოში ცხოვრობენ.

ევროპული ციხის წესების 24.4 წესის თანახმად, პაემნების ორგანიზება ისე უნდა განხორციელდეს, რომ პატიმრებს საშუალება მიეცეთ, შეინარჩუნონ და განავითარონ ოჯახური ურთიერთობები შეძლებისდაგვარად ნორმალურ გარემოში.

აღსანიშნავია, რომ N3 დაწესებულებაში ხანმოკლე პაემანი ხორციელდება შუშით გადატიხრულ ოთახში. ასეთ შემთხვევაში პატიმარი მოკლებულია ოჯახის წევრებთან ყოველგვარი ფიზიკური ურთიერთობის საშუალებას. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ფიზიკური გამყოფი ბარიერები აუცილებელია, მნიშვნელოვანია, რომ ფიზიკური ურთიერთობის საშუალება იყოს აღიარებული ნორმა. ნებისმიერი გადაწყვეტილება, რომლითაც ხდება ფიზიკური ურთიერთობის შეზღუდვა, უნდა იყოს გონივრული, დასაბუთებული და იმ მიზნის მიღწევის პროპორციული, რისთვისაც მსგავსი შეზღუდვა წესდება. გარდა ამისა, ფიზიკური ურთიერთობის შეზღუდვის შესახებ გადაწყვეტილება უნდა დაექვემდებაროს რეგულარულ გადახედვას. სხვა შემთხვევაში, მსგავსი ჩარევა პატიმარის პირად და ოჯახურ ცხოვრებაში გამართლებული არ იქნება.

ოჯახთან კონტაქტი წარმოადგენს ადამიანის ფუნდამენტალურ უფლებას. ეს იმას ნიშნავს, რომ პატიმრებისა და მისი ოჯახის წევრების ვიზიტი არ უნდა ჩაითვალოს პრივილეგიად. მანდელას წესების 43-ე წესის მესამე პუნქტში აღნიშნულია, რომ ოჯახთან კონტაქტის შეზღუდვა დაშვებულია მხოლოდ შეზღუდული პერიოდით და იმ

⁸⁹ N3 დაწესებულების დირექტორისგან 2016 წლის 9 ივნისს მიღებული MOC91600558407 პასუხის თანახმად N3 დაწესებულებაში მოთავსებული იყო პატიმრებიდან 92 იყო დასავლეთ საქართველოდან, 55 კი აღმოსავლეთ საქართველოდან.

⁹⁰ N3 დაწესებულების ვიზიტის შემდგომი ანგარიში, 2015 წლის 7-9 მაისი, გვ. 35, იხ. ბმული <http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3290.pdf>

შემთხვევაში, თუ ამას მკაცრად მოითხოვს უსაფრთხოებისა და წესრიგის შენარჩუნების ინტერესები.

ევროპული ციხის წესები დიდ მნიშვნელობას ანიჭებს პატიმრების უფლებას, პაემნების საშუალებით ხშირი ურთიერთობა იქონიონ ოჯახის წევრებთან.⁹¹ აღნიშნული წესების მიხედვით, პაემნების ორგანიზაცია ისე უნდა განხორციელდეს, რომ საშუალება მიეცეთ პატიმრებს ოჯახური ურთიერთობები შეძლებისდაგვარად ნორმალურ გარემოში შეინარჩუნონ და განავითარონ.⁹² ხანგრძლივი პაემნით სარგებლობის უფლება წარმოადგენს მნიშვნელოვან შესაძლებლობას პატიმარსა და მის ოჯახს შორის კავშირის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის და ემსახურება ორივე მხარის ინტერესებს.

N3 დაწესებულების დირექტორიგან⁹³ მიღებული ინფორმაციის თანახმად, 2016 წელს განხორციელდა 31 ხანგრძლივი პაემანი. აქვე აღსანიშნავია, რომ 2016 წლის ბოლო 4 თვის განმავლობაში არცერთ მსჯავრდებულს არ უსარგებლია ხანგრძლივი პაემნით.

პატიმრობის კოდექსის მე-17² მუხლის მე-6 ნაწილის ძველი რედაქციის თანახმად, ხანგრძლივი პაემანი არ ეძლეოდათ განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში განთავსებულ მსჯავრდებულებს. პატიმრობის კოდექსის დათქმა, რომელიც განსაკუთრებული რისკის დაწესებულებაში განთავსებულ მსჯავრდებულებს უკრძალავდა ხანგრძლივი პაემნით სარგებლობის უფლებას, წარმოადგენდა ბლანკეტური ხასიათის შეზღუდვას. 2016 წლის 23-25 მაისს განხორციელებული ვიზიტის დროს დადგინდა, რომ მსჯავრდებულების ნაწილი, რომელთაც არ ჰქონდათ განსაზღვრული საშიშროების მაღალი რისკი, ასევე ვერ სარგებლობდნენ ხანგრძლივი პაემნით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2017 წლის 3-5 თებერვალს განხორციელებული ვიზიტის დროს N3 დაწესებულებაში მოთავსებულ ყველა მსჯავრდებულს უკვე განსაზღვრული ჰქონდა საშიშროების მაღალი რისკი.

სახალხო დამცველი მიესალმება პატიმრობის კოდექსში 2017 წლის ივნისში განხორციელებულ ცვლილებას, რომელმაც მოხსნა ბლანკეტური აკრძალვა და განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსებულ მსჯავრდებულებს მიაჩიქა ხანგრძლივი პაემნით სარგებლობის უფლება.

პატიმრობის კოდექსის 65-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, დახურული ტიპის დაწესებულებაში განთავსებულ მსჯავრდებულს უფლება აქვს 1 წლის განმავლობაში ჰქონდეს 2 ხანგრძლივი პაემანი, ხოლო წახალისების ფორმით - წელიწადში 1 დამატებითი ხანგრძლივი პაემანი.

სატელეფონო საუბრების უფლება მსჯავრდებულისთვის/ბრალდებულისთვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს უფლებას წარმოადგენს, რაც ხელს უწყობს პატიმრის ოჯახის

⁹¹ ევროპის ციხის წესები, წესი 24.1

⁹² ევროპული ციხის წესები, წესი 24.4

⁹³ 2017 წლის 18 იანვრის MOC71700043478 პასუხი.

წევრებთან და მეგობრებთან მჭიდრო კავშირის შენარჩუნებას. პატიმრობის კოდექსის მე-14 მუხლის პირველი ნაწილის „ა.დ“ ქვეპუნქტის თანახმად, ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს ისარგებლოს სატელეფონო საუბრებით და მიმოწერით.

N3 დაწესებულებაში ტელეფონით სარგებლობა შესაძლებელია საცხოვრებელ კორპუსებში არსებული ტელეფონის აპარატებით, რომლებიც დაწესებულების თანამშრომელთა სამორიგეო ოთახშია მოთავსებული. დარეკვის დროს საუბარს ყოველთვის ესწრება მორიგე თანამშრომელი, რაც შეუძლებელს ხდის საუბრის კონფიდენციალურობას. მნიშვნელოვანია ტელეფონის აპარატები განთავსებული იქნას იმგვარად, რომ შესაძლებელი იყოს საუბრის კონფიდენციალურობის დაცვა. აღნიშნულთან დაკავშირებით სახალხო დამცველმა N3 დაწესებულების ვიზიტის შემდგომ ანგარიშში⁹⁴ რეკომენდაციით მიმართა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს, თუმცა რეკომენდაცია არ შესრულებულა.

სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებთან გასაუბრების დროს პატიმრები, რომელთაც განსაზღვრული აქვთ საშიშროების მაღალი რისკი, უკმაყოფილებას გამოხატავენ იმის გამო, რომ თვეში მხოლოდ 1 სატელეფონო ზარის უფლება ჰქონდათ, რომელიც მხოლოდ 10 წუთი გრძელდებოდა.⁹⁵ საქართველოს სახალხო დამცველი მიესალმება პატიმრობის კოდექსში 2017 წლის ივნისში განხორციელებულ ცვლილებებს, რომლითაც განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსებულ მსჯავრდებულებს მიეცათ დამატებითი სატელეფონო ზარების განხორციელების შესაძლებლობა.

N3 დაწესებულების დებულების თანახმად, მსჯავრდებულები ვალდებულნი არიან დაწესებულების დირექტორს მიაწოდონ იმ პირების საკონტაქტო ნომრები, რომლებთანაც განხორციელებენ სატელეფონო ზარებს.⁹⁶ ამ ნომრების გარდა, პატიმარი ვერ შეძლებს სხვა ნომრებზე დარეკვას, თუ ხელახლა წერილობით არ მიმართავს დაწესებულების დირექტორს და არ შეცვლის ტელეფონის ნომერს. აღნიშნულის გამო პრობლემური ხდება პატიმრის მიერ ისეთ უწყებებთან დაკავშირება, როგორცაა სახალხო დამცველის ოფისი, გენერალური ინსპექცია და სხვა, რადგან აღნიშნული წესი ამ ნომრებზეც ვრცელდება.

წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი⁹⁷ მიუთითებს, რომ ინსპექტირებისა და საჩივრების განხილვის ეფექტური პროცესი არის თავისუფლების აღკვეთის

⁹⁴ N3 დაწესებულების ვიზიტის შემდგომი ანგარიში, 2015 წლის 7-9 მაისი, გვ 35, იხ. ბმული <http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3290.pdf>

⁹⁵ პატიმრობის კოდექსი, მუხლი 66³

⁹⁶ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება N109, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს N3 პენიტენციური დაწესებულების დებულების დამტკიცების შესახებ; მუხლი 42, პუნქტები 1,2 და 3.

⁹⁷ წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი, სტანდარტები, პარ. 54, გვ. 27.

დაწესებულებებში არასათანადო მოპყრობისგან დაცვის ფუნდამენტური გარანტია. პატიმრებს უნდა ჰქონდეთ საჩივრის შეტანის შესაძლებლობა, როგორც თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების სისტემის ფარგლებში, ისე მის გარეთ, მათ შორის - სათანადო უწყებებთან კონფიდენციალურად დაკავშირების შესაძლებლობა. აღსანიშნავია, რომ სახალხო დამცველთან ხელმისაწვდომობა წარმოადგენს არასათანადო მოპყრობისგან დაცვის მნიშვნელოვან გარანტიას, განსაკუთრებით კი იმ პატიმრებისათვის, რომელთა სოციალური იზოლაციის პირობებში ყოფნა შეიცავს არასათანადო მოპყრობის დიდ რისკს. მნიშვნელოვანია, რომ კანონმდებლობაში შევიდეს ცვლილება და პატიმრებს, რომელთაც განსაზღვრული აქვთ მაღალი რისკი, ჰქონდეთ შესაძლებლობა ნებისმიერ დროს დაუკავშირდნენ სახალხო დამცველს და ინსპექტირების სხვა ორგანოებს.

სპეციალური პრევენციული ჯგუფის ვიზიტების დროს⁹⁸ დადგინდა, რომ N3 დაწესებულებაში პრობლემას წარმოადგენს კონფიდენციალური წერილის გაგზავნა, კერძოდ, შეუძლებელია კონფიდენციალური საჩივრის დასაწერად საჭირო კონვერტის მიღება პატიმრის იდენტიფიცირების გარეშე. კონვერტის მისაღებად პატიმარი მიმართავს სოციალურ სამსახურს. პატიმრებს არ აქვთ საშუალება კონფიდენციალურად დაწერონ საჩივარი იმ შემთხვევებში, როდესაც მათ წერილის დაწერაში სოციალური სამსახურის თანამშრომლის დახმარება სჭირდებათ. აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ სოციალური სამსახურის თანამშრომლები არ შედიან საკანში და პატიმრებს ესაუბრებიან საკნის კარზე არსებული საკვებურიდან. საკანში შესვლის შემთხვევაში კი, მათივე უსაფრთხოების დასაცავად თან ახლავთ უსაფრთხოების თანამშრომელი. აღნიშნული არღვევს საჩივრის კონფიდენციალურობას და აჩენს უნდობლობას დაწესებულების სოციალური სამსახურის მიმართ. ამასთან, აღსანიშნავია, რომ კონფიდენციალური საჩივრის დაწერის შემდგომ, დაწესებულებაში მყოფი პატიმარი საჩივრის ყუთამდე ვერ მიდის თანმხლები პირის (უსაფრთხოების ან რეჟიმის თანამშრომლის) გარეშე.

რეკომენდაციები სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს:

- ❖ უზრუნველყოს ხანმოკლე პაემნის განხორციელება მინის გამყოფი ბარიერის გარეშე;
- ❖ ტელეფონების აპარატები განთავსდეს იმგვარად, რომ პატიმარმა შეძლოს თანამშრომლის მოსმენის გარეშე ტელეფონით სარგებლობა;
- ❖ N3 დაწესებულებაში პატიმრის მოთავსების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას გათვალისწინებული იქნას პატიმრის ოჯახის წევრების საცხოვრებელი ადგილი, რათა უზრუნველყოფილი იყოს პაემნის უფლებით შეუფერხებელი სარგებლობა;
- ❖ მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა სოციალური სამსახურის თანამშრომელი პატიმარს კონფიდენციალური საჩივრის შედგენაში ეხმარებოდეს

⁹⁸ 2016 წლის 23-25 მაისი და 2017 წლის 2-4 თებერვალი.

უსაფრთხოების დაცვის თანამშრომლის დაუსწრებლად, თუკი არ არსებობს სოციალური სამსახურის თანამშრომლის მიმართ საფრთხის დასაბუთებული ვარაუდი.